# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 27 ნოემბერი, 2009 წელი.

№ 239 (6339)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




4

## ვინ დასაჯოს სააკაშვილი – ქართველმა ხალხმა თუ ჰააგის ტრიბუნალმა?




## რატომ მიემხრნენ ეროვნულ-დემოკრატები ნაციონალებს?

2

## დემოკრატიული დიქტატურა

2





## კობა ლიკლიკაძე: სტრატეგიული თვალსაზრისით გაუმართლებლად მიმაჩნია მხოლოდ დედაქალაქის დაცვა

3

## მურთაზ ხურცილავა და ალექსანდრე ჩივაძე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ვარსკვლავის გახსნას იმსახურებენ





10

## ტირილით შემოვლილი საქართველო



5

6

## ქალს შეუძლია კიბოს თავიდან აცილება, თუ...

№ 239. პარასკევი, 27 ნოემბერი, 2009 წელი.

## ინფორმაცია

### რუსეთ-ნატოს ურთიერთობის გაუმჯობესებაზე ისაუბრებენ

ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდა. მათი საუბრის თემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები იყო.

როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში აცხადებენ, ეს საკითხი ოთხ დეკემბერს, ბრიუსელში დაგეგმილ რუსეთ-ნატოს საბჭოს სხდომის კონტექსტში იქნება განხილული, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე უნდა გაიმართოს.

აღსანიშნავია, რომ ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა იქნება პირველი ფორმალური შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გასული წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

მხარეები განიხილავენ რუსეთ-ნატოს ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხსაც.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოზიცია იმ შეუთავსებელ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ქართული ტერიტორიების ოკუპაცია წარმოადგენს, კვლავ ერთმნიშვნელოვანია.

ნატოს გენმდივანი მიიჩნევს, რომ ყველა ერს აქვს არჩევანის უფლება გაწევრდეს იმ საერთაშორისო სტრუქტურებში, რომლებიც მისთვის პრიორიტეტულია.

### გერმანიაში ისაუბრებენ

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი ოფიციალური ვიზიტით გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში იმყოფებიან.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები აფხაზეთიდან დევნილ სტუდენტებთან, ქართული დიასპორისა და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ცენტრის წარმომადგენლებთან.

შეხვედრისას აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხებზე, აფხაზეთის მთავრობის პრიორიტეტებზე, ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ნდობის აღდგენისა და ამ პროცესში დევნილ ემიგრანტთა ჩართვის აუცილებლობაზე ისაუბრებს.

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

## დავა საარჩევნო კოდექსზე

# ნულს 30 ხომ სჯობს! — ედპ-ის ლოგიკური გათვლა

## რატომ მიემხრნენ ეროვნულ-დემოკრატები ნაციონალებს?

**მართალია, ადგილობრივი არჩევნები ჯერ არ დანიშნულა, მაგრამ ოდესმე ხომ დაინიშნება, ოდესმე ხომ მოუწევთ პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო მარათონში ჩაბმა?! სწორედ წინასაარჩევნო პერიოდია ხელსაყრელი იმისთვის, რომ ხელისუფლებას „კაკალი გააგდებინო“ და რაღაც „დემოკრატიული“ დასცინცლო, მაგრამ ამ აქსიომას ყველა პარტია თავისებურ ახსნა-განმარტებას უძებნის. „ალიანსი საქართველოსთვის“ საარჩევნო კოდექსზე მუშაობისას იმდენად რადიკალური და პრინციპული აღმოჩნდა, რომ „დებოშის“ მიზეზი გახდა. ალიანსის წევრები თბილისის მერის არჩევნებზე 50-პროცენტიან ბარიერს მოითხოვდნენ, თუმცა ბოლოს 45 პროცენტზეც დაყაბულდნენ, მაგრამ ამ პრინციპულ „ულტიმატუმთან“ მარტო დარჩნენ, ვინაიდან კოდექსის ჯგუფის 11 პარტიიდან ვერც ერთი მხარდამჭერი ვერ მოიპოვეს. ამიერიდან ამ მოთხოვნას აზრი უკვე არც ექნება, ვინაიდან ედპ-ის ინიციატივით „კოდექსის ჯგუფის“ აქამდე მიღწეული შეთანხმებები უკვე პარლამენტს გადაეგზავნა.**

**არადა, რა იყო ამ მოთხოვნაში მიუღებელი, პირიქით, ის ყველა ნორმალურად მოაზროვნე მოქალაქისთვის აბსოლუტურად მისაღები უნდა ყოფილიყო.**

**„ნაციონალებმა“ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, არაფრით არაო. გასაგებია, რომ მათ მაღალი პროცენტის ეშინიათ. მაგრამ გამოდის, რომ ასევე ეშინიათ სხვებსაც, „ალიანსი საქართველოსთვის“ გარდა.**

**განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატებისთვის გახდა მნიშვნელოვანი 30-პროცენტიანი ბარიერის დაკანონება, თუმცა რატომ არ უჭერენ მხარს 50 პროცენტს ან თუნდაც 45-ს, გასაგები ზოგიერთისთვის არ არის, ზოგიერთს კი უბრალოდ მარტივი პასუხი აქვს – იმიტომაც, რომ დიდი ხანია ხელისუფლების თამაშს თამაშობენ.**

**ჩვენ ვესაუბრეთ ედპ პოლიტიკურ მდივანს გიორგი გოგნიაშვილს, რომელიც პარტიის საარჩევნო კოდექსის ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ბუნებრივია, მას თავისი არგუმენტები აქვს, თუმცა დაეჯერება თუ არა ამ არგუმენტებს, განსჯა მკითხველისთვის მიგვინდია.**

— ერთადერთ საკითხზე ვერ შეთანხმდა კოდექსის ჯგუფი, ეს იყო საარჩევნო ბარიერი, რომელიც „ალიანსმა საქართველოსთვის“ წარმოადგინა. ჩვენი აზრით, ძველ საარჩევნო კანონს – ნულოვან ბარიერს აშკარად სჯობს მერის პირდაპირი არჩევნები, რაც უპრეცედენტოა საქართველოში და 30-პროცენტიანი ბარიერი. მით უმეტეს, რომ საარჩევნო გარემოს დასახვეწად და გასაუმჯობესებლად ამ ერთადერთ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

**— სწორედ ეს არის განსხვავება ალიანსსა და თქვენს შორის. ისინი მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ ერთადერთ საკითხს აქვს პრინციპული მნიშვნელობა?**

— ჩვენ იმდენად მნიშვნელოვანი საკითხები შევათანხმეთ, რომ ისინი საარჩევნო გარემოს გასაჯანსაღებლად ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ბარიერის საკითხი. ამიტომ ამის გამო მოლაპარაკების ჩაშლა მიუღებლად მიგვაჩნია.

**— 30-პროცენტიან ბარიერზე თანხმობა ნიშნავს, რომ კვლავ ნაციონალები დარჩებიან უმრავლესობით და მერადაც მათი კანდიდატი გავა. ეს ძალიან მარტივი გასათვლელია და ამას რატომ თანხმდება ედპ?**

— რატომ გგონიათ, რომ ხელისუფლება გაიმარჯვებს?

**— მას ამისთვის ძალიან ბევრი რესურსი აქვს, რეალური მხარდამჭერების გარდა.**

— მაშინ 100-პროცენტიანი გავაკეთოთ და უკეთესი იქნება. ვიმეორებ, რომ ეს მთავარი პრინციპი არ არის.

**— ბოლოს და ბოლოს მოლაპარაკება საბოლოოდ ჩაიშალა?**

— მოლაპარაკება ჩაიშლებოდა, მაგრამ ჩვენ მივმართეთ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ოფისს ბოლო სხდომის შემდეგ და ვთხოვეთ, რომ მუშაობის გაგრძელების საშუალება მოეცათ. ყველა დანარჩენ საკითხზე შეთანხმება მიღწეული იყო, გარდა ბარიერის საკითხისა, ამიტომ წარვადგინეთ თერთმეტივე მოთხოვნა, რომელზეც კიდევ ერთხელ განაცხადეს თანხმობა „კოდექსის ჯგუფის“ პარტიებმა. ყველამ მოაწერა ხელი, „ალიანსი საქართველოსთვის“ გარდა.




NDA-მ დაგვითმო ოფისი და მოლაპარაკებები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით კვლავ გაგრძელდება. წინ არის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, ადგილობრივი არჩევნების გარდა და ძალიან ბევრ საკითხზე შეთანხმებაა მისაღწევია... ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვესაუბროთ სხვა ოპოზიციურ პარტიებს და ვიმუშაოთ კოდექსის დახვეწაზე.

**— რა მოხდებოდა, რომ უფრო პრინციპულები ყოფილიყავით, იქნებ კიდევ უფრო მეტ დათმობაზე წამოსულიყო ხელისუფლება?**

— დაგვრჩებოდა იგივე კანონი, რაც გვქონდა!

**— ანუ ნაციონალები არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდნენ მაღალპროცენტიან ბარიერს, დავიჯეროთ ასე ძლიერები არიან, რომ მთელი ოპოზიციური სპექტრი ვერაფერს უზამდა?**

— თქვენ ამაში ეჭვი გეპარებათ? ასე მოხდა 2008 წელს. წინასაარჩევნოდ, როდესაც ოპოზიციამ სხდომა დატოვა, ნაციონალებმა ყველა მიღწეულ შეთანხმებას ხაზი გადაუსვეს და ისევ იმ ძველი კანონით ჩაატარეს არჩევნები, არადა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი იყო შეთანხმებული. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდებოდა. დარჩებოდა ძველი კანონი – ანუ ნულოვანი ბარიერი. ნულს ოცდაათი მაინც ხომ სჯობს?! თუმცა ჩვენი თავდაპირველი მოთხოვნა 35 პროცენტი იყო.

**— ბრძოლას ხომ ყოველთვის აზრი აქვს. მით უმეტეს, რომ მოლაპარაკების მაგიდა ამ შემთხვევაში თავად ნაციონალებმა დატოვეს? თუნდაც ის რად ღირდა, რომ ამით ხელისუფლება გაშიშვლდებოდა?**

— ჩვენ რა გვინდა, კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ ხელისუფლება ცუდია? მოლაპარაკების მაგიდასთან გულის მოსაფხანად ხომ არ ვსხდებით?! ასეთი გაქცევით, გითხარით, რომ მიღწეული შედეგები ერთხელ უკვე ხელიდან გაუშვა ოპოზიციამ 2008 წელს. არ გვინდა, ჩვენი კოლეგების შეცდომები კვლავ გავიმეოროთ.

**— ისე ზოგადად, სიტყვაზე ვთქვათ, ეთანხმებოდით თუ არა 50-პროცენტიან ბარიერს? გასაგებია, რომ ხელისუფლების სავარაუდო ქმედებას გაუწიეთ ანგარიში, მაგრამ მაინც?**

— რატომაც არა.

თუმცა ალიანსმა ჯერ 50-პროცენტი რომ მოითხოვა და შემდეგ 45, მაშინვე ვთქვი, რომ ეს არ არის საქმიდან გამომდინარე საქციელი. ხელისუფლება იმთავითვე აცხადებს, რომ მაღალ ბარიერს არ დათანხმდება და რისთვის აკეთებ ამას? სამუშაო მაგიდა ჭიდილის ადგილი არ არის.

**— ედპ-მ ნაციონალების მხარე დაიჭირა. თავშეკავება ხომ შეიძლებოდა?**

— რა მნიშვნელობა აქვს? გავიდოდა მათი წინადადება?! ჩვენ ჩიხური ვითარება კი არ უნდა შევქმნათ, არამედ ვიპოვოთ გამოსავალი. იგივე პოზიცია უკავია ალიანსს, რაც აქამდე ნაციონალებს ჰქონდათ: ვინც ჩვენთან არ არის, ის მტერია. ალიანსი თითქოს მეორე პოლუსია. ჩვენ დემოკრატია და მრავალფეროვნება გვინდა და არა ერთპოლუსიანობა.

ბოლოს და ბოლოს ერთ საკითხს, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანს, მაგრამ არა ყველაზე პრინციპულს, მთელი კოდექსი არ უნდა გადავაყოლოთ.

ესაუბრა
**ᲗᲔᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ**

## მამონტიდან — ფულხენსიომდე

# დემოკრატიული

**დიქტატურა — (ლათინურად Dictaturaძ შეუზღუდავ ძალაუფლებას ნიშნავს და საერთაშორისო განსაზღვრებით, მმართველობის „ძალიან ცუდ“ ფორმას წარმოადგენს.**

**პირველი დიქტატორი, ალბათ ამ 10 000-ოდე წლის წინათ გამოჩნდა ასპარეზზე. მას, სავარაუდოდ მონადირებული მამონტის განაწილების დროს, მეზობელ ტომში მცხოვრები, „მხრების დაზელვის“ ოსტატი ასული გაახსენდა, იქვე ახლოს დადებული კომბალი დაატრიალა და ჭამაში გართულ „თანაგამოქვაბულელებს“ (არც „თანამოქალაქეებს“ და არც „თანატომელებს“, არამედ თანაგამოქვაბულელებსძ დაერია.**

დაერია და ზოგი ხაროში ჩააგდო. და კაი გვარიანი ლოდიც დახურა თავზე.

ზოგი მოკლა.

ზოგი ისე შეაშინა, რომ სულ „მაგარია, მაგარიაო“ ამღერა.

იმათ, ვინც ყველაზე ხმამაღლა და გრძნობით იმღერა „მაგარიაო“, ცეცხლთან მიუჩინა ადგილი. მამონტის ხორციც გაუნაწილა, ღირსების ორდენებიც ჩამოურიგა და პენსიად კაი რქები და ჩლიქებიც დაუნიშნა (ისე, ერთი რაც მინდა ვკითხო ზოგიერთ ე.წ. „ანტიდიქტატორს“: – არ გრცხვენიათ, როცა თქვენს მასწავლებელს 85 ლარი აქვს პენსია და თქვენ 8500 ლარი? ჰო, კარგი, თქვენ არ გრცხვენიათ და ნუ გრცხვენიათ. ჯანდაბას, ავიტან. ვერაფერს ვერ ვიზამ. არადა, თუნდაც ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მინდა ვკითხო: ქალბატონო ნინო, მიეცით რა ის თქვენი პარლამენტაროზის „პენსია“ პედაგოგებს. უნამუსო ვიყო, მაგარი „პიარი“ თუ არ გაკეთდეს. ძაან მაგარი, მაგრამ ამას „მოფიქრება“ უნდა. ისე იმ „ერთლარიანმა აგარაკმა“ „მაგრად იმუშავა“. გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: ხომ მაგრად „აპიარა?“ არადა, რა მაგარი „პონტი“ იქნებოდა იმის წინაალმდეგ, თქვენი „პენსია“ პედაგოგებისთვის, ან თუნდაც დევნილებისთვის რომ მიგეცათ? ეჰ, ეს რომ მეთქვა, ვინ დამიჯერებდა. ან თქვენთან ვინ მომიშვებდა... კაი, რაც არის, არის. მე ავიტან!ძ.

ჰო, ისევ იმ ბელადს უნდა დავუბრუნდე: ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ როგორ გამოითქმებოდა მაშინ „უშიშროების საბჭოს მდივანი“, ან „ტომის ბელადის ადმინისტრაციის უფროსი“, მაგრამ ჩიორა რომ არქეოპტერიქსი იყო, ამაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ.

როგორც წესი, ბელადს, ზოგიერთნი „დაუპირისპირდნენ“ (ისაო, ჩვენო რესპუბლიკელები, „ახლები“, ლეიბორისტები, „ტორები“ და საერთოდ, მაგარი „ტიპები“ ვართოძ, მაგრამ იმ 10 000 წლის წინათ მცხოვრებმა კაცმა, ვიღაცებს პატარ-პატარა კოცონები აუნთო, ზოგს ბრონტოზავრის ძვლები გადაუყარა და მოკლედ რომ ვთქვა, პირველმა დიქტატურამ წარმატებით ჩაიარა.

ახლა ეს „ისტორიული ამბავი“, ვინც გინდათ დაიჯერეთ. ვინც არა და... კარგად იყავით.

მას შემდეგ ბევრჯერ დადგა სამყარო გლობალური დათბობის, მოლაღურის, თუ ბეჰემოთის გრიპის წინაშე. ბევრჯერ მოხდა ტერიტორიული გადანაწილებები, მაგრამ დიქტატურის მთავარი არსი შეუცვლელი დარჩა.

მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, ისევ „ჩემს სტილში“ უნდა გავაგრძელო ეს წერილი და ამიტომ ვიტყვი, რომ ყველაფერი ევოლუციას განიცდის.



განიცდის ახალი ნოვაციების გავლენას. იცვლის ფორმებს და ცდილობს, რომ სამყარო უფრო კომფორტული გახდეს ადამიანისთვის, ანუ მომხმარებლისთვის.

აქედან გამომდინარე, დიქტატურაც იცვლის თავის ფორმებს და ცდილობს, უფრო მოსარგები გახდეს მომხმარებლისთვის.

იმ პირველი დიქტატორისგან განსხვავებით, თანამედროვე დიქტატორები საკუთარი ძალაუფლების გავრცელებას, გინდა, არ გინდა, მაინც იმ „მამონტის ხორცზე“, და „მასაჟისტკებზე“ ცდილობენ. ცდილობენ და პირდაპირ ამჟღავნებენ თავიანთ მერკანტილურ სურვილებს.

არადა, კომბალი მაინც კომბალია და ერთნაირად მტკივნეულია, 10 000 წლის წინათ მოგხვდება, თუ XXI საუკუნეში.

სამხედრო თემა

***დასრულდა** საქართველოს შეიარაღებული ძალების დიდი გადაადგილება, რომლის შესახებაც მოსახლეობამ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პრესრელიზიდან შეიტყო. პრესრელიზის და საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პირების განცხადებების მიხედვით, „დიდი გადაადგილება“ არმიის რესტრუქტურიზაციას უკავშირდება. აღნიშნული „რესტრუქტურიზაცია“ გაშიფრა სამხედრო ექსპერტმა და რადიო*



*„თავისუფლების“ ჟურნალისტმა კობა ლიკლიკაძემ, რომლის ინფორმაციითაც, გორის ბაზაზე დისლოცირებული სამხედრო ნაწილი თბილისში გადმოდის, გორში კი, სამხედრო აკადემია განთავსდება. როგორც „მედიანიუსს“ კობა ლიკლიკაძემ განუცხადა, კატეგორიული დასკვნების გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ საკამათოა, რამდენადაა გამართლებული სამხედრო აკადემიის გორში გადატანა და ძირითადი ძალების დედაქალაქში კონცენტრირება.*

# „სტრატეგიული თვალსაზრისით გაუმართლებლად მიმაჩნია მხოლოდ დედაქალაქის დაცვა“

— მე არ ვიცი მთლიანი სტრატეგიული ჩანაფიქრის კონტექსტი, რაც ამას ახლავს. მე, უბრალოდ, ინფორმაცია მივაწოდე რადიომსმენელს, მკითხველს და ალბათ, ექსპერტებსაც, რომელთაც ეს ყველაფერი უნდა განსაჯონ. ერთი მხრივ, შესაძლოა, გორის სოციალური დატვირთვისთვის გამართლებული იყოს იქ აკადემიის გადატანა, რადგან ქალაქს არაპირდაპირ, ბიუჯეტიდან დაფინანსება გაეზრდება. მაგრამ, მეორე მხრივ, გაურკვეველია ყველა საბრძოლო ნაწილის თბილისში ან თბილისთან ახლოს კონცენტრირება. ჩანს, და ეს ჩემი ზედაპირული დაკვირვებაა, რომ სამხედრო აგრესიის გამეორების შემთხვევაში, ხელისუფლება ფიქრობს, რომ გორის გამაგრებას აზრი არ აქვს და თბილისი უნდა გამაგრდეს ყველა ძალით. რამდენად სწორია ეს სტრატეგიული თვალსაზრისით, ეს განხილვის საგანი უნდა იყოს. მე არ ვარ ჯერ მზად, რომ კატეგორიული დასკვნები გავაკეთო.

საერთოდ, მაფიქრებს სამხედრო აკადემიის ბედი. სულ რაღაც წელიწადნახევრის თუ ორი წლის წინათ გადაიტანეს ეს აკადემია რუსთავის შესასვლელთან, თითქოს დაფუძნდნენ და მოეწყვნენ კიდეც. სამხედრო სტრუქტურაში ასეთი ხშირი გადაჯგუფებები კარგი არ არის. ეს ქმნის ნევროზულ გარემოს, ძაბავს ატმოსფეროს და ასე შემდეგ. ეს ჩემი დაკვირვებაა. ვისურვებდი, რომ ეს სამხედრო აკადემიის ბოლო გადაადგილება იყოს და, ბოლოს და ბოლოს, მან იპოვოს თავისი ადგილი არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ საგანმანათლებლო სისტემაშიც და იქცეს სამხედრო-საგანმანათლებლო ძლიერ კერად როგორც საქართველოში, ისე სამხრეთ კავკასიაში. მეორეც, ღმერთმა ქნას, რომ საქართველოს არ დასჭირდეს დედაქალაქის დაცვა.

**— თქვენი აზრით, თავის დროზე რამდენად გამართლებული იყო კონფლიქტის ზონასთან ასე ახლოს მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზის აშენება?**

— როდესაც ბაზა იქ შენდებოდა, არანაირი შეზღუდვა არ იყო. შეზღუდვა ახლა გვაქვს ევროკავშირის მისიასთან 2009 წლის 29 იანვარს გაფორმებული მემორანდუმით, რომლის მიხედვითაც, კონფლიქტის ზონიდან 15 კილომეტრში არ გვაქვს ბატალიონზე უფრო მსხვილი შენაერთის ყოლის უფლება. თუმცა, გორის ბაზა არ ექცევა შეზღუდვის ზონაში. რამდენად სწორი იყო, ვერ გეტყვით. მე შესაძლოა, სუბიექტურად ვფიქრობდე, რომ ეს სწორი არ იყო. როდესაც არსებობს სამხედრო ხელმძღვანელობა, უშიშროების საბჭო და მათ აქვთ სადაზვერვო თუ სხვა სახის ინფორმაციაზე დაყრდნობით გამომუშავებული სტრატეგია, კატეგორიულად მსჯელობა არ შემიძლია. მაგრამ გეტყვით გულწრფელად — სამხედრო ჰოსპიტლის გადატანა გორში იყო ცხადი სიგნალი იმისა, რომ საქართველო აპირებდა კონფლიქტის ზონაში გარკვეულ სამხედრო წამოწყებებს. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ 2009 წლის დასაწყისში გორიდან გამოიყვანეს სატანკო ნაწილი და გადაიყვანეს მუხროვანის ბაზაზე. ჩემი ინფორმაციით, სწორედ ამან გამოიწვია გარკვეული მღელვარება შენაერთში, რადგან სატანკო ნაწილმა კარგად იომა და საბრძოლო ამოცანა შეასრულა. ცხინვალში ქართული ტანკები ბოლომდე იყვნენ, გაიხსენეთ სამი დამწვარი ტანკი, რომლის ეკიპაჟებმაც ბოლომდე იომეს. ეს ნაწილი, ძირითადად, გორიდან იყო დაკომპლექტებული და ამან გამოიწვია უკმაყოფილება, — როგორ, ჩვენ მშობლიურ ქალაქს ვტოვებთ და რამე რომ იყოს, ისევ უკან უნდა დავიხიოთ და ა.შ. სხვა საკითხია, იყო თუ არა განმარტებითი მუშაობა. ჩემი ინფორმაციით, და ეს „მუხროვანის საქმეზე“ მიმდინარე სასამართლოზეც გამოჩნდა, პირველად მღელვარება ამან გამოიწვია.

მოკლედ, არის ინფორმაციები, რომელსაც სჭირდება საზოგადოების წარმომადგენლების და ექსპერტების მხრიდან ანალიზი. სხვათა შორის, ხელისუფლების მხრიდან იყო დაპირება, რომ გარკვეული მსჯელობა გაიმართებოდა ისე, რომ, რა თქმა უნდა, არ დარღვეულიყო სამხედრო საიდუმლოების პრინციპი. მაგრამ რაზე ვლაპარაკობთ, როდესაც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პრესრელიზიდან შევიტყვეთ, რომ დაწყებულია დიდი გადაადგილება. პრესრელიზში პირდაპირ კოორდინატებია მითითებული, მათ შორის ბაზალეთი. კარგად ვიცით, თუ რატომ გახდა ბაზალეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი. ასეთი ინფორმაციები იჟონება წინასწარ. ჩემი სუბიექტური აზრით, ჩვენ ხელი მოვაწერეთ საკმაოდ მძიმე, აღარ ვიტყვი რომ კაბალურს, ხელშეკრულებას იმ დროს, როდესაც მოწინააღმდეგემ არ მოაწერა შეთანხმებას იგივე 15-კილომეტრიანი ზონის შესახებ და მეტიც, რაც შეეძლო, უფრო მეტად წამოსწია აქეთ ძალები.

**— თქვენ აღნიშნეთ, ღმერთმა ქნას, დედაქალაქი არ გაგვიხდეს დასაცავიო. თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლება მაინც ამაზე ფიქრობს და ძირითადი ძალების კონცენტრაციას თბილისში ახდენს. თქვენი აზრით, თავად ეს ნაბიჯი რამდენად გამართლებულია? სამხედრო ექსპერტებზე აღარაფერს ვიტყვი, მოქმედი ოფიცრები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ ყველა ძალის თბილისში კონცენტრირება და, თუ რუსები აქეთ წამოვლენ, რაღაც „ცოცხალი კედელის“ აღმართვა დაუშვებელია.**

— საერთოდ, დედაქალაქები მაქსიმალურად განტვირთული უნდა იყოს სამხედრო ძალებისაგან. იქ უნდა იყოს პოლკი, რომელსაც ევალება გარკვეული ცერემონიების ჩატარება. ასევე, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, რათა დედაქალაქი ჰაერიდან იყოს დაცული. სამხედრო ნაწილები საზღვართან მაქსიმალურად ახლოს უნდა იყვნენ, რათა ისინი საზღვრის გადმოლახვის შემთხვევაში, სწრაფად დაეხმარონ პირველი ეშელონის ძალებს, ანუ მესაზღვრეებს, სტრატეგიული ამოცანის შესრულებაში. დედაქალაქის დაცვა არის ბოლო, უკანასკნელი და, მე ვიტყოდი, საბედისწერო ნაბიჯიც. არ ვიცი, თუ ასე ცუდად არის საქმე, რომ მხოლოდ დედაქალაქი გვაქვს დასაცავი და სხვა რამეზე არ ვფიქრობთ. თუმცა, ასეთ პესიმისტურ და ნაჩქარევ დასკვნებს არ გავაკეთებ. იმედი მაქვს, რომ გადაჯგუფების დასრულების შემდეგ, თავდაცვის სამინისტროს ან უშიშროების საბჭოს წარმომადგენლები მოიწვევენ პრესკონფერენციას და გარკვეულ განმარტებებს გააკეთებენ.

**— ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზემოხსენებული პრესრელიზის გამოქვეყნების შემდეგ, ფაქტობრივად, იგივე განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა ეკა ტყეშელაშვილმა. თქვენი აზრით, ამ ინფორმაციამ იმიტომ ხომ არ „გაჟონა“, რომ დიდი სამხედრო კოლონების შემხედვარე მოსახლეობაში პანიკა არ დაწყებულიყო? შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულში, როდესაც თბილისის მისადგომებთან საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა მიმდინარეობდა, ინტერნეტი პანიკური პოსტებით იყო გადავსებული.**

— არ გამოვრიცხავ, რომ ევროკავშირის მისიის მიერ ზემოხსენებული პრესრელიზის გავრცელება შეთანხმებული იყო საქართველოს ხელისუფლებასთან. პრესრელიზში პირდაპირ არის მითითებული, რომ საქართველო ერთგულია მემორანდუმის პირობებისა და მისიას მოახსენა სამხედრო გადაადგილების შესახებ. ამას მოჰყვა ტყეშელაშვილის განცხადება. ეს კარგია, რადგან საქართველოს ხელისუფლება, გარკვეულწილად, ტრანსფარენტულია. მაგრამ არ იქნებოდა ურიგო, როდესაც დასრულდება დისლოკაცია და მოიხსნება საიდუმლოების საბურველი, გარკვეული განმარტებები გაკეთდეს.

**— თქვენი ინფორმაციით, რა მდგომარეობაა დასავლეთის მიმართულებაზე? სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინათ თბილისის ერთ-ერთი ნაწილიდან ჯარისკაცები რომ გაიქცნენ, აღმოჩნდა, რომ ისინი მეხუთე ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ. არადა, თუ არ ვცდები, მეხუთე ბრიგადის დისლოკაციის ადგილი აჭარაა.**

— მე ასეთი ინფორმაციები არ მაქვს. არც თუ დიდი ხნის წინათ ჩამოვედი პრაღიდან და არ მქონია შეხვედრა ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან, რომლის დროსაც რაიმე ინფორმაციის მიღება იქნებოდა შესაძლებელი. არ არის გამორიცხული, რომ ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ ყურმოკვრით მოგვეწოდება, არ იყოს სწორი ცნობები და მხოლოდ „ავტობუსის მიერ მოტანილი“ ინფორმაციაა. არა მგონია, რომ ხელისუფლებას მთელი ძალების კონცენტრაცია დედაქალაქში უნდოდეს ან აწყობდეს. სტრატეგიული თვალსაზრისით აბსოლუტურად გაუმართლებლად მიმაჩნია მხოლოდ დედაქალაქის დაცვა. ვფიქრობ, თუ რაღაც მომენტში მოხდა დედაქალაქში სრული ძალების თავმოყრა, მხოლოდ იმიტომ, რომ მოხდეს მათი გადაჯგუფება გარკვეული სტრატეგიული მიმართულებებით.

**— ასევე, საინტერესოა, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს არმია. რუსული მხარე კატეგორიულად ამტკიცებს, რომ დღეს ქართული ჯარი უფრო ძლიერია, ვიდრე ეს 2008 წლის აგვისტოში იყო. პრინციპში, ამას ქართული მხარეც ადასტურებს.**

— ძალიან რთულია რაიმეს თქმა. მე ვერ გავზომავ და ვერ შევაფასებ საქართველოს არმიის ბრძოლისუნარიანობას.

**— იმედია, ტექნიკური დანაკარგები მაინც აღვიდგინეთ.**

— მაქვს ინფორმაცია, რომ დანაკარგები არა მხოლოდ ცოცხალი ძალის, არამედ, ტექნიკის მხრივაც აღდგენილია. საჰაერო თავდაცვის შესახებ არ ვფლობ ინფორმაციას. რაც შეეხება რუსული მხარის განცხადებებს, ის პოლიტიკურ ქვეტექსტს შეიცავს, რომლის მიხედვითაც, საქართველო ახალი ომისთვის ემზადება. მეორეც, მახსენდება ერთი ძველი პარტიული მოხელის გამონათქვამი — როდესაც გვაქებენ, დავფიქრდეთო.

მამონტიდან — ფულხენსიომდე

# დიქტატურა

რა მაგის პასუხია და, ის HOMO SAPIENS-იც მაინცადამაინც არ განსხვავდება დღევანდელისგან.

საოცარია, მაგრამ დიქტატურის ყველაზე გავრცელებული და ყველაზე მისაღები განმარტება მაინც დემოკრატიას უკავშირდება.

ცხადია, რომ „დემოკრატია კანონის დიქტატურაა“.

XX საუკუნეში წარმოიქმნა დიქტატურის ახალი და ერთის შეხედვით ყველაზე უფრო მისაღები ფორმა — დემოკრატიული დიქტატურა..

წარმოიქმნა და მაშინვე შემოვიდა მოდაში.

ეს არის ძალადობის აბსოლუტურად ახალი მოდელი, რომელმაც იდეოლოგიური ფორმა მსოფლმხედველობით შეცვალა და პროლეტარიატის დიქტატურა ამერიკული ცხოვრების წესის დიქტატურით, ანუ American Dream-ით ჩაანაცვლა.

ორივე სახის დიქტატურა, ანუ პროლეტარიატის, თუ American Dream-ის, მმართველობის ერთი და იგივე ფორმაა და იდეოლოგიურად „გამართული“ კანონების ადამიანებზე გავრცელების ფორმაა.

დღევანდელი მსოფლიო, რაც არ უნდა „ევროკავშირულად“ გამოიყურებოდეს, მაინც ორ „ბანაკად“, ანუ „პროლეტარიატის დიქტატურის მომხრე“ (ჩრდილოეთ კორეა, კუბა, ჩინეთი, დ.ა.შძ და American Dream-ის მომხრე ქვეყნებად ნაწილდებიან.

ისინი ყოველგვარ ძალისხმევას ახმარენ თავიანთი იდეოლოგიის გავრცელებას და, რაც არ უნდა ცუდად ჟღერდეს, განსხვავება მხოლოდ ეკონომიკაშია.

თუ პროლეტარიატის დიქტატურის მომხრე ქვეყნებში მთელი მატერიალური მონაპოვარი თანაბრად ნაწილდება, American Dream-ის მომხრე ქვეყნებში მთელი ფინანსები მხოლოდ მეტროპოლიაში, ანუ ამერიკაში მიედინება (დაახლოებით ძველი რომის ვარიანტი, ოღონდ ძალიან ცუდი შესრულებითძ.

ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი რამის დაწერა შეიძლება (ეს დაახლოებით კარგი საკანდიდატოს და „რბილი სადოქტოროს“ თემააძ, ამიტომ ბევრს არ ვილაპარაკებ და პირდაპირ ვიტყვი, რომ ნებისმიერი იდეოლოგიის დემოკრატები, თავისი არსით, გინდა არ გინდა, მაინც დიქტატორები არიან.

დიქტატორები, იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ისინი არ იძლევიან აბსოლუტურ თავისუფლებას, არ იძლევიან ხალხის, ანუ „დემოსის“ მმართველობას და ყველანაირად ცდილობენ, რომ მაინც ერთი ხელის ქვეშ მოაქციონ სახელმწიფოს მართვა.

არადა, სამწუხაროდ, დემოკრატია, მაინც დიქტატურაა და ყველა, ვინც ამ სახელით მოდის სახელმწიფოს სათავეში, მაინც გარკვეულწილად იტყუება.

ერთადერთი, ვინც ნამდვილი დემოკრატიის სახელით ლაპარაკობდა, ვინც ყველანაირად უპირისპირდებოდა ყოველგვარ დიქტატურას, მოჰანდას კარამჩანდრ პორბანდარ განდი, ანუ მაჰათმა განდი იყო.

ორი აზრი არ არის იმასთან დაკავშირებით, რომ ხალხის მმართველობა ეს, მართლაც რომ, იდეალური სახელმწიფო სისტემაა, მაგრამ აქვე იბადება ერთი ძალიან „ცუდი“ კითხვა:

— ვინ უნდა იყოს დემოკრატიის, ანუ ხალხის დიქტატურის მახვილი?

— ვინ?

ხალხის, ანუ დემოსის ნების ასრულებისთვის „იბრძოდნენ“ ჰიტლერელები, იულიუს კეისრელები, ბოლშევიკები.

ისინი იბრძოდნენ საკუთარი ხალხის, საკუთარი „დემოსის“ დიქტატურისთვის და ისინი იყვნენ მათი მახვილი.

სამწუხაროდ, დღეს გავრცელებულია სხვისი ხელდასხმით მოსულ დიქტატორთა ძალაუფლება.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთ დიქტატორს „გავიხსენებ“:

ბატისტა ი სალდივარი — (რუბენ ფულხენსიოძ დაბადებული 1901 წლის 16 იანვარს. გენერალი. კუბის პრეზიდენტი 1954 წლიდან 1959 წლის პირველ იანვრამდე.

სამწუხაროდ, ძალიან სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი მმართველი, მიხეილ სააკაშვილი თავისი პოლიტიკური კურსით, თავისი „მოღვაწეობით“ იმ რუბენ ფულხენსიოს ალიკვალია.

ძალიან სამწუხაროდ!

აქ შემეძლო გარკვეული ფინანსურ-ეკონომიკური შედარებები მომეყვანა, მაგრამ იმაზე მეტი რა უნდა ვთქვა, რაც დღევანდელი ხელისუფლების მთავარი კურსი, ანუ საქართველოს სხვების მომსახურე ქვეყნად და ქართველების მონურ პერსონალად გადაქცევის პოლიტიკაა.

თუ იულიუს კეისრის, ჰიტლერის, ან თუნდაც სტალინის დიქტატურები იმისაკენ იყო მიმართული, რომ მათი ქვეყნები გაძლიერებულიყვნენ, რომ მათს მოქალაქეებს ეკონომიური და სოციალური გარანტიები ჰქონოდათ, რუბენ ფულხენსიოსა და მისი „საქმეების გამგრძელებლის“ მიხეილ სააკაშვილის დიქტატურის მთავარი მიზანი ქვეყნის ამერიკულ ბორდელად გადაქცევის სურვილი იყო და არის.

ის, რომ მიტინგებზე ან ხალხმრავალ შეკრებებზე მიხეილ სააკაშვილს ჩაუშესკუს ეძახიან, აბსოლუტურად გასაგებია, რადგანაც „ჩაუშესკუს“ სკანდირება უფრო მარტივია, ვიდრე ფულხენსიოსი. არადა, სამწუხაროდ, სააკაშვილი გაცილებით უფრო ცუდი მმართველია, ვიდრე ჩაუშესკუ ან თუნდაც ჰონეკერი (გოტვალდზე აღარაფერს ვამბობძ.

ნებისმიერი დიქტატურა უნდა დაემხოს!

ნებისმიერი დიქტატურა დაემხობა!

ისე, რამე რომ იყოს, გარე-გარე ცქერას ისევ ეროვნული ძალების, ეროვნული გრძნობის გაძლიერება სჯობს.

ეს ოპოზიციას უფრო ეხება, თორემ იმ ფულხენსიომ და მისმა გუნდელებმა 1959 წლის პირველ იანვარს, „მოხიეს“ და წავიდნენ (არადა, ჩაუშესკუს „მაგრად დაერხა“).

ეჰ, კიდევ ერთი ფულხენსიოა აქვე, ავლაბარში.

**გია გაბრიჭიძე**

დისკუსია

# სანამ პირი ხეზე ავა...

## ვინ დასაჯოს სააკაშვილი – ქართველმა ხალხმა თუ ჰააგის ტრიბუნალმა?



**მიხეილ სააკაშვილმა, ტალიავინის კომისიის თემა რომ გაენეიტრალებინა, ეშმაკობა იხმარა (დღევანდელი ახალგაზრდები ჭკუას არა, მაგრამ ეშმაკობას დედის მუცელშივე სწავლობენ): მწვანე შუქი აუნთო „ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების გამომკვლევი კომისიისა“ და „მართლმადიდებლობის მიერ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის“ თემებს. ზვიად გამსახურდიაო და — ვიღას ახსოვს შენი ტალიავინი და ჰააგა?! მელია-2 კი იცინის, იცინის, კვდება სიცილით. კოკო გამსახურდიამაც დრო იხელთა და სამი კურდღელი (ახლა სამია მოდაში, თორემ ორს უკვე ყველა იჭერს) ერთად დაიჭირა: „პარლამენტარის“ ნანატრ „ხელფასსაც“ გამოჰკრა ხელი, „საქმიანი კაცის“ იმიჯიც გაინაღდა (თორემ თვითონ კი არა, მთელი მისი „თავისუფლების პარტია“ რას საქმიანობს, ეშმაკმა არ იცის) და „პატრიოტიზმსაც“ (ლათინურად „მამას“ ნიშნავს!) ხარკი გადაუხადა.**

არადა, თენგიზ კიტოვანი გარკვევით ამბობს: „მე ვიყავი თავდაცვის მინისტრი და მე ვამბობ: ზვიად გამსახურდია მოკლულია შევარდნაძის მითითებით, მკვლელობის შემსრულებლები იყვნენ კვირაია და გულუა. ზვიად გამსახურდია საშიში იყო მანამ, სანამ ცოცხალი იყო. ეს იცოდა შევარდნაძემ. კვირაია და გულუა მეგრელები იყვნენ, დიდი აგენტურა ჰყავდათ სამეგრელოში და სწორედ მეგრელებმა გაყიდეს ზვიად გამსახურდია, მათ ჩაუშვეს, სად იყო იგი. აბა, ვის დაესიზმრებოდა, იგი ჯიხაშკარში იყო თუ ხიბულაში?.. დაჰკითხავს კომისია მანანა არჩვაძეს? ეცდება, გააქარწყლოს ან დაადასტუროს ის ეჭვი, რომ ამ საქმეში მანანა არჩვაძეც არის გარეული? იგი თავიდანვე შევარდნაძის აგენტი იყო და შეგზავნილი გახლდათ გამსახურდიას ოჯახში. აი, აქედან უნდა დაიწყოს ძიება კომისიამ, მაგრამ ამას არავინ იტყვის... არ აჩენს ეჭვს ის ფაქტი, რომ ექსპერტიზა მეუღლის წინააღმდეგობის გამო არ ჩატარდა?.. ჩვენ ზუსტად ისიც არ ვიცით, ერთი ტყვია აქვს მოხვედრილი თუ ორი. სად მოხვდა ტყვია?..“ („ასავალ-დასავალი“ №46, 16-22.11.09).

ბ-ნი თენგიზი, იმავე ინტერვიუში, თამაზ ნინუას მკვლელობასაც ეხება, რომელიც, პრემიერ ჟვანიას მივიწყებულ მკვლელობასთან ერთად, უფრო აქტუალური და გადაუდებლად გამოსაკვლევია, ვიდრე ზვიად გამსახურდიას მკვლელობა, რადგან თუ ამ უკანასკნელს არააქტიურ შევარდნაძეზე გადააქვს ყურადღება, პირველ ორს — აქტიურ სააკაშვილზე, ბოროტება კი მაშინ არის საშიში, როცა ის აქტიურია: „ის (ნინუა — **ო. ხ.**) ძველი ჩეკისტი იყო, უშიშროებაში მუშაობდა საბჭოთა კავშირის დროიდან, შემდეგ ზვიად გამსახურდიასთან მუშაობდა, მისი მარჯვენა ხელი იყო, თუმცა გამსახურდიას შემდეგაც არ დაუნებებია მუშაობისთვის თავი. ის არავის გაუშვია შვებულებაში, საერთოდ, ჩეკისტები შვებულებაში და პენსიაზე არ გადიან... ვფიქრობ, ის ქართული სპეცსამსახურების მოკლულია, რომ მას არ გაეხმაურებინა საიდუმლო ინფორმაცია. ეს ინფორმაცია კი, ჩემი აზრით, უკავშირდება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს და ომის დაწყებას. მას, როგორც უშიშროების ძველ თანამშრომელს, ძველ ჩეკისტს, კავშირი ჰქონდა მოსკოვთან, რუსულ სპეცსამსახურებთან და იქიდან იღებდა ინფორმაციას. მან მიიღო რაღაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ეს რომ არ გახმაურებულიყო, ამიტომ მოკლეს... ზვიად გამსახურდიას მკვლელობა წასული საქმეა. ამის გამო მას (ნინუას) მიშას სპეცსამსახურები არ მოკლავდნენ... მიშამ იცის, რომ ამ კომისიის შექმნით (იგულისხმება გამსახურდიას მკვლელობის კომისია — **ო. ხ.**) არაფერი გამოვა, თუნდაც გამოვიდეს, მიშა ამ საქმეში ნამდვილად არ ურევია და შეიძლება აწყობს კიდეც, რომ შევარდნაძეზე გავიდეს კვალი!“

მაშასადამე, გამსახურდიას მკვლელობას კომისია და პარლამენტის მოცდენა კი არა, უკვე პროკურატურა და სასამართლო სჭირდება, რაც დღესდღეობით არ არსებობს საქართველოში და იკვლიე და იყავი, როგორც „წერე და იკითხე“. ისე, არც ის არის იურიდიულად მიზანშეწონილი, რომ შვილი (დაინტერესებული პირი) მამის საქმეს იკვლევდეს, რადგან მიუკერძოებელი ველარ იქნება. თუნდაც, მაგალითად, ქ-ნი მანანას ხსენებული კვალის გამოძიების საკითხში.

იგივე უნდა ითქვას პატრიარქის შეურაცხმყოფელი „ვიდეორგოლების გამავრცელებლების საქმის გამოძიების“ შესახებ: რა გამოძიება უნდა, მოკიდე ხელი თეა თუთბერიძეს, კახა ბენდუქიძეს, სანაიას ბიჭიც ზედ მიაყოლე და სადაც ჯერ არს, სამივე იქ მიაბრძანე! მაგრამ ვინ უნდა მიაბრძანოს, როცა მიმბრძანებელი თვითონ არის მისაბრძანებელი?!

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფრიად მისასალმებელია იაკობ ლეჟავას „საქართველოს რესპუბლიკაში“ (17-20.11.09) გამოქვეყნებული ვრცელი წერილი, რომელიც, ავტორის ნებით თუ უნებლიეთ, ტალიავინ-ჰააგას თემის კანონიერ რეაქტუალიზაციას უწყობს ხელს. ჩემი გამოხმაურების მიზანიც ის არის, რომ ხელისუფლების მიერ მიფუჩეჩებული ეს თემა ხელახლა წამოვწიოთ და ხელახალი მსჯელობის საგნად გავხადოთ, და არა იმისათვის, რომ პატივცემულ ავტორს კრიჭაში ჩავუდგე და რაღაც წვრილმანებზე ვეკირკიტო.

სააკაშვილი რომ უნდა დაისაჯოს, და ადრე თუ გვიან დაისჯება, 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვისათვის, ეს სადავო აღარ არის. სადავო არც ის არის, ვინ უნდა დასაჯოს იგი. რა თქმა უნდა, იმან, ვისაც სასამართლო აქვს - ჰააგამ. მით უმეტეს, რომ სააკაშვილის ხსენებული ქმედება კვალიფიცირდება როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, საერთაშორისო სამართლის პრეროგატივას წარმოადგენს და არა ეროვნული სამართლისა. ბ-ნ მიხეილს ეროვნული მასშტაბითაც არანაკლები დანაშაულები აქვს ჩადენილი, მაგრამ ისინი, რაგინდ მძიმეც არ იყოს, საერთაშორისო მასშტაბის დანაშაულს ვერ გადაფარავს. აი, ამ საკითხში კი მოიკოჭლებს ჩვენი ავტორის პოზიცია, რომელიც საერთაშორისო დამნაშავე სააკაშვილს „დასასჯელად“ უტოვებს ქართველ ხალხს, რომელსაც, სააკაშვილისავე წყალობით, სასამართლო არ გააჩნია, და დასასჯელი განუკითხავად თვითონ სჯის დამსჯელს!

„არა, დანაშაულის მეტი რა აქვს ჩადენილი სააკაშვილს იგივე ომთან დაკავშირებით (ოღონდ საკუთარი, ქართველი ხალხის წინაშე), მაგრამ ისეთი დანაშაული, რის გამოც მილოშევიჩი გაასამართლეს (და ახლა კარაჯიჩს ასამართლებენ), მას ნამდვილად არ ჩაუდენია“, — წერს ავტორი და დაასკვნის: „ასე რომ, ამ ბრალდებით სწორედ ისინი (პლუს კოკოითი უნდა გასამართლდნენ და არა — სააკაშვილი, რომლის წინააღმდეგ მსგავსი სამხილი არ არსებობს... სააკაშვილმა საერთაშორისო დანაშაული კი არ ჩაიდინა, მან ეროვნული დანაშაული ჩაიდინა და იგი არა ჰააგის, არამედ საქართველოს სახალხო ტრიბუნალს უნდა გადაეცეს!“

საერთაშორისო სამართლის საკითხებში ჩახედული პოლიტოლოგის რამაზ კლიმიაშვილის განმარტებით, სწორედ „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული იკვეთება სააკაშვილის ქმედებაში. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად, იცით, რა ითვლება? — რაც ტალიავინის კომისიის დასკვნაში წერია: რომ ღამე რაკეტებით დაბომბა ცხინვალი. ასე რომ, სააკაშვილს იქ რომ ციხე არ ასცდება, უკვე გადაწყვეტილია... სხვათა შორის, მილოშევიჩი რომ მოხვდა ჰააგის ციხეში, მან მეტი კი არაფერი გააკეთა კოსოვოში. კოსოვო იყო სერბეთის ტერიტორია, სერბეთის ავტონომია იყო. ამის გამო მილოშევიჩი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მან ზუსტად იგივე გააკეთა, რაც მიხეილ სააკაშვილმა. ასე რომ, ამ კომისიის დასკვნაში წერია, რომ სააკაშვილს ელის მილოშევიჩის ბედი“ („ახალი თაობა“ 02.10.09).

ასეთსავე კვალიფიკაციას აძლევს სააკაშვილის ქმედებას საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი შალვა ნათელაშვილიც, როდესაც იგი პარალელს ავლებს ცხინვალისა და კოსოვოს „გმირებს“ შორის: „თუ სააკაშვილი არ წავა პრეზიდენტის პოსტიდან, ცხადია, ძალიან დიდი განსაცდელი გველოდება. არა მარტო საერთაშორისო იზოლაცია, არამედ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებათა დაჩქარება მსოფლიოს მასშტაბით; სხვა რეგიონების მოწყვეტა და დიდი სამოქალაქო დაპირისპირებისთვის ფინალში გასვლა. ამდენად, კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდო სააკაშვილს, ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოიქცეს ადამიანურად და გადადგეს... იმიტომ, რომ იუგოსლავიაში პროცესები სწორედ ამგვარი გზით ვითარდებოდა, როდესაც იქ ასეთი დასკვნა დაიწერა. დასკვნის შემდეგ მილოშევიჩი პრეზიდენტის პოსტიდან კარგა ხანს არ წავიდა. ამით მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და მერე ქვეყანა სამ ნაწილად დაშალა: ჩერნოგორიად, კოსოვოდ და სერბიად“ („ახალი თაობა“ 02.10.09).

ქართველი ხალხის მიერ სააკაშვილის „დასჯა“ ფაქტობრივად მის დაუსჯელად დატოვებას ნიშნავს, რადგან ქართველ ხალხს არავითარი ბერკეტი აღარ გააჩნია მის დასასჯელად. სააკაშვილს თვითონ ჰყავს იგი დასჯილი. ქართველ ხალხს მისი დასჯის შნო რომ ჰქონოდა, შეეძლო გაეკეთებინა ეს 2008 წლის 12 აგვისტოს, როცა გორიდან გამოქცეული მართლა კურდღელივით დამფრთხალი იყო, მაგრამ მან ეს შანსი ხელიდან გაუშვა. ოპოზიციამ მაშინ „მონიტორინგით“ გაამაგრა, ბრბომ კი „მიშა, წადის“ ნაცვლად, „სარკო-მიშა“ ექახა. ჰოდა, ახლა მიშა ექახის ორივეს: „წადი, თქვენი....“

თაგვებმა რომ გადაწყვიტეს, დაესაჯათ კატა და — ვინ შეაბამს ეჟვანსო,- ზუსტად ასეა ახლა წერილის ავტორის საქმე. ერთადერთი, ვისაც ხელეწიფება დღეს დანაშაულების ჩასადენად ქართველი ხალხის უზურპატორად მოვლენილი სააკაშვილის მოშორება, ეს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალია. ამ ძალით მაცხონეს მოშორებაზეა საქმე, თორემ მაინცდამაინც მისი დასჯა კი არავის უნდა. ამიტომ ემუდარება მას ბ-ნი შალვა, „ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოიქეცი ადამიანურად და გადადექიო“. მაგრამ საქმეში ხარ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს!

მაგრამ ბ-ნ იაკობ ლეჟავას არ მოსწონს ტალიავინის კომისიის დასკვნა: „ჩემს მიერ ტალიავინის კომისიის კრიტიკა და საქართველოს ინტერესების დაცვა ვინმეს სააკაშვილის დაცვადაც რომ არ მოეჩვენოს, ვიტყვი შემდეგს: სააკაშვილის დანაშაული ომის წამოწყება კი არ არის, მისი დანაშაული მარცხისთვის წინასწარ განწირული ომის დაწყება, და ამ ომში უშუალოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ქართული მოსახლეობის მიმართ (ოსური მოსახლეობის მიმართ არა უშავს! — **ო. ხ.**) ჩადენილი მიუტევებელი ვერაგობაა“.

სანამ მომდევნო აბზაცამდე მივიდოდი, ვიფიქრე, ბ-ნი იაკობი, ალბათ, გიჟობად უთვლის „წინასწარ დასამარცხებლად განწირული“ ომის დაწყებას და ამის გამო უნდა ჰააგის ტრიბუნალს გადაარჩინოს-მეთქი პრეზიდენტი (გიჟს მართლაც ტრიბუნალისთვის ხომ ვერ გაიმეტებ!), მაგრამ იქვე დავრწმუნდი, რომ მას მთლად გიჟობისთვისაც არ ემეტება იგი:

„გავიმეორებ ადრე ნათქვამს: სისხლით წართმეულს მოლაპარაკებების გზით არავინ აბრუნებს. ეს აქსიომაა და ამის თაობაზე მშვენივრად მოეხსენებათ ფუქი ლაყბობის ინიციატორებს. მსგავსი პრეცედენტი კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო! სისხლით და ომით წართმეულს მოლაპარაკებების მაგიდასთან „ბორჯომის“ სმით არავინ აბრუნებს, გინდა მეოცე საუკუნეზე მოახდინე აპელირება და გინდა ოცდამეერთეზე... ასე რომ, სამშობლოს დაცვა, გვაწყობს თუ არ გვაწყობს, სამწუხაროდ, მხოლოდ სიცოცხლის ფასად შეიძლება!“

იხ. 6 გვ.

წერილი რედაქციას

# ახალი ანტიხალხური ფანდი

**მიხეილ სააკაშვილის თავგასულმა ხელისუფლებამ სანოემბროდ კიდევ ერთი (ეს უკვე მერამდენე!) დარტყმა და შეურაცხყოფა მიაყენა პენსიონერთა მისთვის არასასურველ ნაწილს, რომელსაც არამცთუ არ მოუმატა პენსია, პირიქით, ჩამოაკლო 5 ლარის ოდენობით.**

აგერ გახლავართ ერთი ცოცხალი მაგალითი **— მიხეილ ამბროსის ძე ჩაჩუა, დიდი სამამულო ომის მონაწილე, იმ მედლის (მედლების) მფლობელი, რომელთაც მხოლოდ ომის მონაწილეებს აძლევდნენ.** აი ისიც: მედალი „გერმანიაზე გამარჯვებისთვის 1941-1945 წლებში“ (საიუბილეო მედლებზე არას ვამბობ).




მოხდა საოცრება: შევარდნაძის „მეფობის“ ხანაში ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო მონაწილეობა **„გათანაბრებით“** შემიცვალეს და შესაბამისი პენსიაც დამინიშნეს. მხედველობაში არ ის მიიღეს, რომ მე პერსონალური პენსიონერიც გახლდით.

მქონდა ისედაც დამცინავი პენსია 107 ლარი და ახლა 102 ლარი გამიხადეს...

ოთხმოცდასამი წელი ისე მოვიტოვე უკან, სულ ბრძოლისა და შრომის წინა რიგებში ვიყავი და დღესაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, კალამი არ დამჟანგებია... და მე არ მეგულება დღეს ჩემი ბიოგრაფიის მსგავსი ბიოგრაფიის მქონე ადამიანი, რომელსაც ისეთივე მათხოვრული პენსია ჰქონდეს, როგორც თქვენს მონა-მორჩილს.

ეს პატარა წერილი მინდა დავასრულო ამ ანტიქართული, არაადამიანური ხელისუფლების მიერ გაწამებული ყოველი ადამიანის მიმართ თანაგრძნობის გამოხატვითა და რწმენით ჩვენი აღდგომისა.

**მიხეილ ჩაჩუა (მიხა კოლხი).**
**ნოემბერი, 2009.**

ინფორმაცია

## პოლიციელთა უფლებები იზრდება

**პოლიციის შესახებ კანონში ცვლილებას იურიდიულ საკითხთა კომიტეტში განიხილავენ. ცვლილებების მიხედვით, პოლიციელთა უფლებები იზრდება, კერძოდ მათ საშუალება ეძლევათ, შეამოწმონ ავტომობილი ან საზღვაო აკვატორიაში მცურავი საშუალება. სამართალდამცველებს ამ მოვალეობის შესრულება მხოლოდ საგანგებო, საომარი ან სხვა განსაკუთრებული შემთხვევების დროს შეეძლებათ.**

**დღემდე მოქმედი კანონის მიხედვით, პოლიციას ავტომობილის შემოწმების უფლება არ ჰქონდათ.**

**პოლიციის შესახებ კანონპროექტში ცვლილებები მთავრობის მიერ არის ინიცირებული.**

**ХО-ЭЙБ-ЭНИ**

კომუნიკე

# საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომო

**პარიზი, 2009 წლის 25 ნოემბერი**

2008 წელს სარკოზიმ, როგორც ევროკავშირის მაშინდელმა პრეზიდენტმა, მიაღწია საქართველოში რუსის ჯარის შემოსევის შეჩერებას და შეთანხმების ხელმოწერას.

აღებული ვალდებულების მიუხედავად რუსული საოკუპაციო ჯარები დღესაც ცდილობენ ქართული ტერიტორიების ანექსიას.

არღვევს რა ხელმოწერილ შეთანხმებას;

- რუსეთი ევროპელ დამკვირვებლებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლას უკრძალავს.
- აგებს რა „სირცხვილის კედელს“, რუსეთი ამ ტერიტორიების იზოლირებას ახდენს და 300 000 ქართველს შინ დაბრუნებას უკრძალავს.
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთი ამ წუთსაც სამხედრო ბაზებს აშენებს.

**რუსეთმა დღეს განაახლა გუშინდელი სსრკ-ის იმპერიალისტური ქცევები.**

რუსეთის ხელისუფლების „მცდელობები“ მიმართულია პატარა საქართველოს მიმართ:

- პუტინი აიარაღებს კადიროვს, რათა საბოლოოდ გაწმინდოს ჩეჩნეთი და შიში გაამეფოს მეზობელ ინგუშეთში.
- თვით რუსეთშიც პუტინს ეკისრება პასუხისმგებლობა ანა პოლიტკოვსკაიას, მრავალი სხვა ჟურნალისტის, თავისუფლად მოაზროვნის და დემოკრატის მკვლელობებზე.

**რუსეთმა დღეს თავისი ანტიჰუმანური და ავტოკრატული ქცევებით გუშინდელი სსრკ განაახლა.**

პრეზიდენტ სარკოზის თავისი სტუმრისათვის არ უნდა გამორჩეს იმის შეხსნება, რომ:

- მან, როგორც მთავარმა აქტიორმა და მოწმემ, თვალყური უნდა ადევნოს რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში აღებული ვალდებულების შესრულებას.
- იგი, როგორც დემოკრატიული ქვეყნის პრეზიდენტი, ვერ შეძლებს გუშინდელ დემონებს დამორჩილებული რუსეთის შეიარაღების ხელშეწყობას „მისტრალის“ გემების მიყიდვით, რომლებიც ხვალიდან ახალი pax sovietica-ს იარაღად იქცევა.

**როდესაც რუსეთს აჩუმებენ, საქართველოში ბეტონის კედელს აღმართავენ, ევროპას სამარეს უთხრიან.**

საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომო მოგიწოდებთ, მოხვიდეთ და მხარი დაუჭიროთ მათ, ვისაც რუსეთის ხელისუფლება საფრთხეს უქმნის.

პარასკევს, 27 ნოემბერს, 17 სთ.
კლემანსოს მოედანი (პარიზი 8,
მეტრო „შან-ზელიზე — კლემანსო“)

**ოთარ ზურაბიშვილი.**
სათვისტომოს თავმჯდომარე

ფილმი აგვისტოს ომზე

***აგვისტოს ომმა მთელ საქართველოს თავზარი დასცა. ის იარები დღემდე მოუშუშებელია. რეჟისორმა თინათინ ჭაბუკიანმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ცარიელია სახლი“, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ 170 ჯარისკაცს ეძღვნება. ფილმში მოთხრობილია რამდენიმე ჯარისკაცის ისტორია, მაგრამ სინამდვილეში, ყველა იმ მებრძოლს ეძღვნება, ვინც სამშობლოსთვის თავი დადო.***

***თინათინ ჭაბუკიანის თქმით, ომმა დიდი ტკივილი დაუტოვა ადამიანებს, განსაკუთრებით მათ, ვინც დაკარგა შვილი, მამა, ძმა თუ ბიძაშვილი. ფილმი ადამიანურ ტკივილებსა და სევდაზეა, რომელიც ამ ომს მოჰყვება და ყველანაირად გაუმართლებელია.***

# ცარიელია სახლი...

## ტირილით შემოვლილი საქართველო

**თინათინ ჭაბუკიანი:** — ისინი 170-ნი არიან, შევეცადეთ, ფილმის გმირები საქართველოს ყველა კუთხიდან შეგვერჩია, რათა იმავდროულად რაიმე ნიშნით განსხვავებული ყოფილიყვნენ. მაგალითად, ლეჩხუმელი ზურაბ ეფაძე ერთ-ერთი პირველი დაიღუპა, ძმები — გელა და გია რომელაშვილები ერთმა ოჯახმა დაკარგა. გიორგი კირაკოზაშვილი უკვე მოწიფული კაცი იყო, მესამე შვილს ელოდებოდა, რომ აღესრულა. საბა დადვანი, დაღუპვის შემდეგ, ერთ კვირაში გახდა 19 წლის. ყველაზე უმცროსი იყო... გზირიშვილების ოჯახიდან კი 16 წლის წინათ ჯერ მამა აღესრულა აფხაზეთში, მოგვიანებით შვილი — ვახტანგ გზირიშვილი შეეწირა აგვისტოს ომს.

ომმა ყველაზე დიდი ტკივილი მშობლებს მიაყენა. სწორედ მათი განცდის ფონზე იშლება დაღუპულთა ისტორიები. ჩემს ცხოვრებაში ეს იყო ყველაზე მძიმე ფილმი, რაზეც კი ოდესმე მიმუშავია.

**თამარ თაგვაძე, ჟურნალისტი და ფილმის სცენარის ავტორი:**

— გადაღებები 23 ივლისს დავიწყეთ ცაგერის რაიონიდან. შემდეგ იყო გორი, ტანძია, რუსთავი. მთელი საქართველო მოვიცავით. შემოქმედებითი ჯგუფისთვის აუტანლად მძიმე იყო წლევანდელი ზაფხული. ჩვენ — ყველა ერთად იმ ემოციებით ვცხოვრობდით, რასაც ომის სევდა ჰქვია. ფილმის სახელწოდებაც „ცარიელია სახლი“ ამ სევდას მიანიშნებს. რატომაა ცარიელი სახლი? იმიტომ, რომ ომმა დაგვიტოვა გმირებისგან დაცარიელებული სახლები. მათი ადგილი ამ მიწაზე, სახლებში, სამწუხაროდ, ცარიელია. ასეთი გამოუსწორებელი შედეგები მოაქვს ომს — დანგრეული აშენდება, მაგრამ ადამიანებს ვერავინ დაგვიბრუნებს. ნებისმიერი ჩვენგანი უბედნიერესი იქნებოდა, ეს ომი რომ არ მომხდარიყო. შემოქმედებითმა ჯგუფმა ტირილით შემოვიარეთ მთელი საქართველო. პრემიერის წინ თინიკოს ის დაღუპული ბიჭები ესიზმრებოდა...

პროექტის ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორია **თინათინ ჭაბუკიანი,** სცენარის ავტორები — **თამარ თაგვაძე, თინათინ ჭაბუკიანი,** ოპერატორი — **ნუგზარ შონია,** რეჟისორის ასისტენტი — **რევაზ ახვლედიანი,** ხმის რეჟისორი — **მადონა თევზაძე,** მონტაჟის რეჟისორი — **ანი მესხიშვილი.**

ლექსს ახმოვანებს მსახიობი **თენგიზ წულაია.** ფილმმა „ცარიელია სახლი“ წლეულს, აჭარაში გამართულ მართლმადიდებლური ფილმების მე-4 საერთაშორისო ფესტივალზე დიდი წარმატება მოიპოვა. მას გადაეცა ფესტივალის მთავარი პრიზი — წმინდა ანდრიას ჯვარი.

— ჩვენი გმირების ოჯახის წევრების ფესტივალზე დასწრება თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყო. ისინი ფესტივალზე სიგელებით დააჯილდოვეს. ამ ფილმმა გახსნა ფესტივალი, მე ვნახე ხმით მოტირალი დარბაზი. ფესტივალის გაგრძელება ემოციების გამო გაჭირდა. გვინდა, ეს ფილმი საფრანგეთისა და ინგლისის საერთაშორისო ფესტივალებზეც გავგზავნოთ. მისი ნახვა აინტერესებთ საზღვარგარეთის ქართულ სათვისტომოებს და, შეძლებისდაგვარად, შევეცდებით მათი სურვილის დაკმაყოფილებას.

ფილმი საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ პროექტია. რომ არა მეუფე პეტრეს დიდი ძალისხმევა, ის დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ფილმი გაახმოვანა თავდაცვის სამინისტროს ტელეკომპანია „საქართველომ“. იქვე ითარგმნა სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე გასაგზავნად. კინოთეატრ „ამირანშიც“ მათი ძალისხმევით გაიმართა პრემიერა, — ამბობს თამარ თაგვაძე.

აღსანიშნავია, რომ ფილმში გამოყენებულია ცხინვალის რეგიონში პატრიარქის შესვლის ექსკლუზიური კადრები. ფილმში მონაწილეობს ორი მოძღვარი — ვარკეთილის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მღვდელმსახური მამა მიქაელ კირკიტაძე და ფიტარეთის მონასტრის წინამძღვარი მამა გიორგი ჯამდელიანი. მამა მიქაელი იმ ტაძარში მსახურობს, სადაც ვახტანგ გზირიშვილის დედა — მარინა გზირიშვილი ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარს აშენებს. მამა გიორგი კი საბა დადვანის ბიძაშვილია. მან ჩამოასვენა საბა გორიდან და მიწას მიაბარა.

ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის მონდომებით მოგვარდა ერთი პრობლემა — ცაგერის რაიონის ჩხუტელის სკოლას ზურაბ ეფაძის სახელი უნდა მინიჭებოდა, მაგრამ ჭიანურდებოდა. ფილმის მესვეურებმა მიმართეს განათლების სამინისტროს, მალე ჩხუტელის სკოლას ზურაბ ეფაძის სახელი მიენიჭება. ამის გამო თინათინ ჭაბუკიანი და თამარ თაგვაძე განათლების მინისტრის — ნიკა გვარამიას მადლობელი არიან.



ამაღელვებელია ფილმის დასასრული, რამაც კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიუანსი შემატა მას.

— მამაჩემის სახე განზოგადდა. იგი ყველა დაღუპულის მამაა. მუხათგვერდის სასაფლაოზე ხომ უსახელო საფლავებიცაა. ლექსი, რომელიც მამამ დაწერა, ინგილოური დიალექტით შესრულებული ხმით ნატირალია. ამ ეპიზოდის გადაღება ძალიან რთული იყო, რადგან მამა წაკითხვის დროს ტიროდა. ამიტომ გადავწყვიტე, ეს მისია მსახიობს შეესრულებინა. მოვიწვიე თენგიზ წულაია, მამა გავაცანი. ეს ხანგრძლივი პროცესი იყო და გაამართლა — თენგიზის ხმამ დაამშვენა ფილმის ფინალი... ამბობს თინათინ ჭაბუკიანი.

**მართლაც, აუღელვებლად ვერ მოუსმენ მამის ნატირალს მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე. ვერც — დაღუპულთა შვილებს — ერთმანეთს რომ უმტკიცებენ, ჩემი მამაა ყველაზე მაგარიო. ესენი ომისა და სიმამაცის შვილები არიან, რომლებიც მამების ხსოვნასავით მართალი და ნათელი საქართველოსთვის იბრძოლებენ. ამიტომაც ცარიელი არასდროს იქნება ჩვენი მიწა და სულები...**

**თამარ შაიშმელაშვილი**

***სურათებზე: კადრები ფილმიდან: „ცარიელია სახლი“.***



სტატისტიკა

## საქართველო 1000 მოსახლეზე ჰეროინის მოხმარებით მსოფლიოში I ადგილზეა

ამის შესახებ გუშინ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე „საქართველოს მწვანეთა პარტიის“ ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა. მისივე თქმით, გაეროსა და აშშ-ის ადმინისტრაციის მონაცემებით, საქართველოში 1000 მოსახლიდან 17 ჰეროინის მომხმარებელია. ამ კუთხით ქვეყანა გაცილებით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ რუსეთს (11), ესტონეთს (10), დიდ ბრიტანეთს (5), იტალიას (5), უკრაინას (2,9), საფრანგეთს (2,6), გერმანიასა (1,4) და თურქეთს (0,3).

ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში ჰეროინის მომხმარებელთა რაოდენობა მინიმუმ 80 000 ადამიანს აღწევს. სამედიცინო დაწესებულებებში აღრიცხულ ნარკომანთა 78% სწორედ ჰეროინის მომხმარებელია. ცნობისთვის, ჰეროინი ყველაზე სწრაფ ფიზიკურ და ინტელექტუალურ დეგრადაციას იწვევს. ნარკომანების სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვისა და სიკვდილიანობის ყველაზე დიდი პროცენტი სწორედ აღნიშნულ ნარკოსაშუალებაზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ ნარკომანების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მასთან დაკავშირებული უმძიმესი დაავადებების — შიდსისა (დაავადებულთა 70% ნარკომანია) და C ჰეპატიტის (აქვს ნარკომანთა 50%-ს) შემთხვევებიც იზრდება. ბოლო 5 წლის განმავლობაში შიდსით დაავადებულთა რაოდენობა - 4,6-ჯერ, ხოლო C ჰეპატიტის შემთხვევები 4,4-ჯერ გაიზარდა. ნარკოტიკებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები წელიწადში 2500-3000 შემთხვევას აღწევს. საყურადღებოა ასევე, რომ ეს მხოლოდ ოფიციალური მონაცემებია და რეალური რაოდენობა ტრადიციულად 3-4-ჯერ მეტია. ამასთან, ნარკოტიკების მოხმარება ყველაზე ხშირია 21-დან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში.

ინფორმაცია

## „უნდა დასრულდეს სამთავრობო ავაზაკობა“

დეპუტატი გია ცაგარეიშვილი მთავრობის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს. ამის შესახებ განცხადება გია ცაგარეიშვილმა პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა და როგორც მან აღნიშნა „მთავრობის მხრიდან გრძელდება საჯარო ინფორმაციის დამალვის ეპოპეა და აუცილებელია ეს სამთავრობო ავაზაკობა დასრულდეს“.

როგორც ცაგარეიშვილმა აღნიშნა, იგი ოქტომბრის შემდეგ ორი თვის განმავლობაში უშედეგოდ ითხოვს საჯარო ინფორმაციას ფინანსთა, ეკონომიკის და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებისაგან. როგორც მან აღნიშნა, მოითხოვს საჯარო ინფორმაციას სამ საკითხთან დაკავშირებით. ეს საკითხებია: საპრეზიდენტო ფონდის ხარჯვასთან დაკავშირებით ინფორმაცია, იმ ქონების ჩამონათვალი თავისი ღირებულებებით, რომელიც პრეზიდენტის განკარგულებით პირდაპირი მიყიდვის წესით იქნა გასხვისებული ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე და ითხოვს თბილისსა და მის შემოგარენში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების შესახებ ინფორმაციას, თუ კონკრეტულად სად არის ეს ჩასახლებები და თითოეულ ადგილას რამდენი ადამიანი ცხოვრობს.

თუკი პრემიერ-მინისტრი მის თხოვნას არ გაითვალისწინებს, ცაგარეიშვილი აღნიშნავს რომ იგი იძულებული იქნება მიმართოს სასამართლოს სარჩელით მთავრობის წინააღმდეგ.

ცაგარეიშვილი აღნიშნავს, სარჩელი, რომელიც ადმინისტრაციულ კოლეგიაში შევა, მომზადებული იქნება სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, რომლებსაც მთავრობასთან იგივე პრეტენზიები გააჩნიათ და ასევე მოძრაობა „დაიცავი საქრთველოსთან“ ერთად.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ დისკუსია

# სანამ ვირი ხეზე ავა...

**(მეოთხე გვერდიდან)**

„მამულის კვამლს“ რომ გრძნეული ძალა აქვს, ეს ადრიდანვე ცნობილია. მანვე ათქმევინა, ცხინვალის „ოპერაციის“ გამო, ერთ პატრიოტ ქართველსაც: „ქართველი ერის მარადისობას შესწირეს თავი ჩვენმა ბიჭებმა. ასე იყო მუდამ, მთელი ისტორიის მანძილზე. საქართველო მუდამ ომების ქვეყანა არის და საფიქრებელია – იქნება კიდეც... რუსეთის იმპერიამ წამოიწყო ეს ომი... ქართველნო, დაიცავით საქართველო, თუნდ ახალი მსხვერპლის ფასად!“

მსხვერპლი და „მარცხი“ რა სახსენებელია, როცა საქმე ეხება „ოსებისგან“ სამშობლოს დაცვას?! წავიდეთ, კვლავაც ჩავუხტეთ კოკოითსა! სამშობლოსათვის, სააკაშვილისათვის! „ახალგაზრდები იმიტომ არიან, რომ ომში დაიხოცონ!“ (მიხეილ სააკაშვილიძ.

ყოველივე ამის შემდეგ, როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა, რომ ბ-ნ მიხეილს „ვერაგობა“ დასწამო?! მაგრამ ბ-ნ იაკობსაც უნდა გავუგოთ. იგი ორ ცეცხლშუაა: გაამტყუნოს პრეზიდენტი – „პატრიოტიზმს“ რა უყოს; გაამართლოს და – ვაითუ ეს „ვინმეს სააკაშვილის დაცვად მოეჩვენოს“! ამიტომ პატივცემული ავტორი ამჯობინებს, გვარიანად შეჯოროს ცხინვალის „გმირი“: „მაგრამ როცა საკუთარი და მოწინააღმდეგის ძალების ობიექტურ შეფასებას ვერ (თუ არძ ახდენ და უაზრო ომში რგავ თავს, რომელშიც დღენახევარში სამარცხვინო დამარცხებასთან და უსიტყვო კაპიტულაციასთან ერთად შენზე მონდობილი ასზე მეტი ქართული სოფლის მშვიდობიან მოსახლეობას გასწირავ (ტყუილი ინფორმაციის მიწოდებით ქართული შენაერთების მიერ მთელი ე.წ. სამხრეთ ოსეთის გაკონტროლების თაობაზეძ და მათ გამძვინვარებულ ოს-ჩეჩენ-კაზაკების ბანდებს შეატოვებ საწამებლად, დასახვრეტად და გასაუპატიურებლად, ესაა თუა ყველაზე მიუტევებელი დანაშაული სააკაშვილისა, რომელსაც ვერ გადაწონის ვერც ერთი ადრე ჩადენილი, ერთად აღებულიც კი, და მისთვის პასუხის არმოთხოვნა, ასეთი სივერაგის შერჩენა, ჩვენი ყველაზე დიდი სირცხვილი იქნება“.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ჩვენი მკვდარი ჩვენ უნდა ვიტიროთ“ და ჩვენვე „შევაბათ ეჟვანი“, რომ ჰააგის ტრიბუნალის „დასასჯელად“ არ გავხადოთ! „ჩვენ ჩვენს პრეზიდენტს პუტინ-მედვედევს არ ვარჩევინებთ!“ (გამყრელიძე, გაჩეჩილაძე და კომპანიაძ. „ჩვენ ჩვენს პრეზიდენტს ტალიავინს არ ვასჯევინებთ!“ (იაკობ ლეჟავაძ.

ტალიავინის კომისია „არაობიექტური“ ყოფილა: იგი თურმე „არც მწვადს წვავს და არც შამფურს“. ობიექტური რომ ყოფილიყო, ან მწვადი უნდა დაეწვა ან შამფური! წერილის ავტორს „ნამდვილად არ ეგონა“, თუ კომისია „ამდენი ლაფსუსის დაშვების უფლებას მისცემდა თავის თავს“: „ჩვენი პრეზიდენტ-ხელისუფლების საკრიტიკოს რა გამოლევს, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს, ყველას თავ-თავისი მიეზღოს“.

არ გეგონოთ, რომ აქ მედვედევის წილზეა საუბარი, არამედ ტალიავინის „წილზე“! წერილში ტალიავინის საქმე ირჩევა და არა მედვედევის: „ამიტომ ტალიავინით უნდა დავიწყოთ და სააკაშვილით (კართაგენივითძ დავამთავროთ“.

„დავიწყოთ კომისიის სახელწოდებით... რატომ ჰქვია ტალიავინის კომისიას „დამოუკიდებელი“. პირდაპირ „ფაქტების დამდგენი კომისია“ არ იკმარებდა?.. ბევრისთვის ევროკავშირის ან გაეროს კომისია უკვე თავისთავად ობიექტურს ნიშნავს, და თუ მას დამოუკიდებელიც ჰქვია და „გულადი მადამიც“ ხელმძღვანელობს, რომელზეც თურმე ვერავინ ახდენს გავლენას, უკვე ყველამ უნდა ვირწმუნოთ მისი ყოველი სიტყვა“..

„რუსთავი-2“-ის „ტელეჟურნალისტები“ და პოლიტიკური “ექსპერტები“, ჯერ კიდევ კომისიის ანგარიშის გამოქვეყნებამდე ყრიდნენ ხმებს, ტალიავინის კომისიის რომელიღაც გერმანელი წევრის სახელზე კრემლიდან რაღაც თანხა გადარიცხულა, რათა კომისიაზე ზეწოლა მოეხდინათ და „მედვედევის პირველი გასროლა“ სააკაშვილს „დააბრალონო“. იაკობ ლეჟავა, პირიქით, თითქოს ამერიკულ ზეწოლაზე საუბრობს: „არანაკლებ მნიშვნელოვანი არის ის, რომ მილოშევიჩის დასჯით დაინტერესებული იყო ამერიკა, რომელსაც იუგოსლავიის დაშლა-დანაწევრება ჰქონდა გეგმაში, სააკაშვილს კი, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთში, დიდი ალბათობით, ამერიკის პირდაპირი მითითებით მოქმედებდა, იგი ასე ადვილად არ გაიმეტებს. დასავლეთს ეს რომ ჰ ქონოდა გუნებაში, მაშინ შესაბამის დასკვნასაც გამოაცხობინებდნენ ტალიავინს“.

ბ-ნი იაკობის სავსებით ლოგიკური მსჯელობით, გამოდის, რომ ტალიავინის კომისიამ, თუ რამ არაობიექტურობა გამოიჩინა, მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის სასარგებლოდ. ერთი სააკაშვილის პირველი გასროლა ვერ დააბრალა რუსეთს, თორემ სხვა არაფერი დაუკლია. ამიტომ წერილის ავტორს სრული საფუძველი ჰქონდა, კომისიის არაობიექტურობაზე ესაუბრა, ოღონდ რუსეთის საზარალოდ. მაგრამ დახეთ საკვირველებას! ის უცებ „რუსეთისკენ გადახრის“ გამო ჩივის და უკმაყოფილოა, რომ კომისიამ პირველი გასროლა სააკაშვილს დააბრალა: „ხელშეკრულების დარღვევის გამო საქართველოს დადანაშაულება როგორც ომის წამომწყების, როგორც პირველი გასროლის, აბსოლუტურად გაუმართლებელია!.. რადგან რუსეთი იგივე ხელშეკრულებებს წლების განმავლობაში განუწყვეტლივ არღვევდა“.

ამ პუნქტში ტალიავინის ოპონენტი აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება, მაგრამ რაკი ჩვენსკენ არის, არა უშავს. ამერიკის მიერ „დასკვნის გამოცხობინების“ არგუმენტი წელან უბრალოდ იმ „ზოგიერთი პოლიტიკაში ჭიპმოჭრილი ადამიანისთვის“ სიტყვის მოსაჭრელად დასჭირდა, „სააკაშვილს ჰააგის ტრიბუნალი არ ასცდებაო“ რომ გაიძახიან. თორემ სინამდვილეში, რა თქმა უნდა, სულ რუსეთი აცხობინებს დასკვნებს.

ბ-ნი იაკობი კომისიის სახელად თავიდან „ფაქტების დამდგენს“ ამჯობინებდა („ფაქტების დამდგენი კომისია“ არ იკმარებდა?“ძ, მაგრამ როცა საქმე ფაქტებზე მიდგა, აღარ მოეწონა. სახელდობრ, ის ფაქტი, რომ „გულადი მადამი“, აშშ-ის მხრივ ზეწოლის მიუხედავად, რიცხვ 7-ს აფიქსირებს: „2008 წლის ომის უშუალო მიზეზი 7 აგვისტოს ქართული ჯარის მიერ სეპარატისტული პროვინციის, სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალის დაბომბვა გახდა“.

პატივცემულ ოპონენტს აქ მოწმედ ბ-ნი ნოდარ ნათაძე მოჰყავს, რომელიც ომის დაწყების თარიღად 6 აგვისტოს თვლის, როცა აგრესორი პუტინი ჯერ კიდევ ჩინეთის ოლიმპიადაზე ბუშთან ერთად არხეინად ლაზღანდარობს და ომის ბაიბურში არ არის. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მაგრამ ბ-ნი იაკობი 6 აგვისტოს მშვენიერ ვარიანტს რატომღაც უკუაგდებს და უცებ 8 აგვისტოზე აკეთებს აქცენტს: „ზუსტი განსაზღვრების შემთხვევაში – „რუსეთ-საქართველოს ომი“, როგორც მას ოფიციალურად უწოდებენ, კომისია მაგრად „იჭედებოდა“! რადგანაც ომის დაწყების თარიღიც უნდა შეეცვალა 7 აგვისტოდან 8 აგვისტოზე, როცა რუსეთი ღიად შემოიჭრა საქართველოში და რუსეთის აგრესიაც დაეფიქსირებინა“. მაგრამ ეგ როგორ?! ბ-ნ მიხეილს 7 აგვისტოს ომი ხომ უკვე გამოცხადებული ჰქონდა და ცხინვალიც აღებული!

ერთი სიტყვით, ეს 7 დიდი თარსი რამე გამოდგა.

ყველა-ყველა, მაგრამ ამ ამერიკას რაღა დაემართა? ბ-ნი იაკობის ხსენებული არგუმენტით, გვეგონა, რომ ამერიკა ტალიავინს სააკაშვილის სასარგებლოდ „აცხობინებდა“ დასკვნებს. აღმოჩნდა, რომ ქ-ნი ტალიავინი თურმე რუსეთის სასარგებლოდ აცხობს. რა გამოდის – იგი დამოუკიდებელია?!

ზემოხსენებულ ვრცელ წერილში კიდევ ბევრ რამეზეა საუბარი, მაგრამ თავი და თავი მაინც ეს რიტორიკული კითხვაა: ვინ გაა(სამართლოს ცხინვალის „გმირი“ – საქართველოს სასამართლომ თუ ჰააგის ტრიბუნალმა? ეჰ, ქართული სასამართლო რომ გვქონოდა, არც ცხინვალის დაბომბვამდე მივიდოდა საქმე და არც ჰააგის ტრიბუნალამდე. მაგრამ პრობლემაც ის არის, რომ ქართული სასამართლო არა გვაქვს, და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არ გვექნება მანამ, სანამ სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტიდან არ გადადგება. ბ-ნი ელიზბარ ჯაველიძის ფიქრით, ეს არ მოხდება არათუ 2013 წლამდე, არამედ, 2033 წლამდეც. ანუ სანამ ვირი ხეზე არ ავა. ჰოდა, ჩვენც დაველოდოთ, სანამ ვირი ხეზე ავა!

**ომარ ხახაშვილი**
**ბელგიის მოქალაქე.**

◉ მედიცინა

# ქალს შეუძლია კიბოს თავიდან აცილება, თუ...

## ჟორდანიას ინსტიტუტი ნახევარსაუკუნოვან წარმატებულ საქმიანობას განაგრძობს

**სიმბოლურად დაამთხვიეს გენდერული თანასწორობის დღეს ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტში სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ისეთი ვერაგულ დაავადებას, როგორიცაა საშვილოსნოს ყელის კიბო.**

სამწუხაროდ, ყოველწლიურად მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების ნახევარი მილიონი ახალი შემთხვევა რეგისტრირდება, რომელთა ნახევარი სიკვდილით მთავრდება. 80 პროცენტი ვლინდება სწორედ განვითარებად ქვეყნებში, ანუ ისეთებში, როგორიც საქართველოა. კიდევ უფრო კონკრეტული გაანგარიშებით აღმოჩნდა, რომ ამ დაავადებით ყოველდღიურად მსოფლიოში 600-ზე მეტი ქალი კვდება.

ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გვყავდეს ინფორმირებული საზოგადოება, რათა მეტი პერსპექტივა გვქონდეს საშვილოსნოს კიბოს თავიდან აცილების საქმეში.

სამეცნიერო კონფერენციაზე მოწვეულები იყვნენ მედიკოსები სხვადასხვა ს/კ ინსტიტუტიდან, კლინიკიდან, ესწრებოდნენ მთავრობის წარმომადგენლები.

როგორც ჟორდანიას ინსტიტუტის დირექტორმა **არჩილ ხომასურიძემ** თქვა, **„ინსტიტუტი ნახევარსაუკუნოვან ტრადიციებს აგრძელებს და აქ ყოველდღიურად ორი ახალი სიცოცხლე იქმნება უშვილო ოჯახებისთვის. დაახლოებით თვრამეტი წლის წინათ სწორედ ჟორდანიას ინსტიტუტში დაინერგა სკრინინგი საშვილოსნოს ყელზე, რომელიც პირველი ლედის სანდრა რულოვსის პატრონატით დღესაც წარმატებით ხორციელდება“.**

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ **ირაკლი გიორგობიანმა** აღნიშნა, რომ **„კიბოს პრევენციისთვის საკმაოდ ბევრი პროგრამა ხორციელდება საქართველოში, ერთ-ერთი კი სწორედ სკრინინგია. დაავადების ადრეულ სტადიაზე აღმოჩენა მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის და ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური თვალსაზრისითაც, რადგან განკურნება ბევრად იაფი უჯდება პაციენტსაც და სახელმწიფოსაც, ვინაიდან ძალიან ბევრი ადამიანი სწორედ დაზღვევის პროგრამაშია ჩართული“.**



პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ოთარ თოიძე** განსაკუთრებით კმაყოფილია ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქართულ სამედიცინო სივრცეში მომხდარი გარდატეხით. საქართველოში განხორციელებული სკრინინგის პროგრამამ ევროკავშირის მოწონება დაიმსახურა და ჯილდოც კი გადმოგვცა ამ დარგის განვითარებისთვის.

კონფერენციაზე მოეწყო წიგნის პრეზენტაცია: „ადამიანის პაპილომავირუსი (NPVძ და საშვილოსნოს ყელის პათოლოგია“. ამ სრულიად ახლებური და თანამედროვე ნაშრომის ავტორები არიან ჟორდანიას სახელობის Pap დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელი **ნინო მუსერიძე** და პროფესორი **გიორგი ბურკაძე.**

ქალბატონმა ნინომ კოლეგებს მოუთხრო იმ სიახლეების შესახებ, რაც საშვილოსნოს ყელის კიბოსადმი თანამედროვე სამედიცინო მიდგომებს უკავშირდება: **„ზოგადად, საშვილოსნოს ყელის კიბო მემკვიდრეობით არ გადადის. მისი მიზეზია ძალზე გავრცელებული ვირუსი – ადამიანის პაპილომა ვირუსი, რომლის 100-ზე მეტი ტიპია მეცნიერებისთვის ცნობილი. სწორედ ეს ვირუსი იწვევს საშვილოსნოს ყელის, საშოსა და ვულვის კიბოს. ეს ვირუსი სერიოზული საფრთხეა ჯანმრთელობისთვის, რადგან მისი შედეგი შესაძლებელია გამოვლინდეს მთელი ცხოვრების მანძილზე. დაავადების თავიდან ასაცილებლად კი უმნიშვნელოვანესია სკრინინგი და სრულიად ახალი მეთოდი – საშვილოსნოს ყელის ვაქცინაცია“.**

**21-ე საუკუნე სწორედ რომ ახალი ერაა მედიცინაში. დღეს უკვე არსებობს ვაქცინები, რომელთა გამოყენებითაც ჩვენ შეგვიძლია ვებრძოლოთ ადამიანის პაპილომავირუსს და შესაბამისად – ყელის კიბოს“,** – აღნიშნა მან.

რეპროდუქციის ინსტიტუტში ჩატარებული კონფერენციის მთავარი თემა სწორედ პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მნიშვნელობას მიეძღვნა. ჟორდანიას ინსტიტუტში ჯერ კიდევ 1989 წლიდან არსებობს საშვილოსნოს ყელის პათოლოგიის კაბინეტი, ხოლო 2000 წლიდან გაიხსნა პირველი Pap დიაგნოსტიკის ლაბორატორია საქართველოში. ამ ინსტიტუტშივე ტარდება ვაქცინაცია.

მართალია, ვაქცინა ძვირი ღირს (დაახლოებით 1000 ლარიძ, რომელიც 3 ეტაპად იყოფა, თუმცა შვიდი წლის განმავლობაში ის უზრუნველყოფს საიმედო დაცვას. ვაქცინა უსაფრთხოა და უკუჩვენება თითქმის არა აქვს. ის შეიძლება ჩაიტარონ 13-წლის ასაკიდან 50 წლამდე ქალებმა. ვაქცინაციის ჩატარება განსაკუთრებით ეფექტიანია პირველ სქესობრივ კონტაქტამდე, ვინაიდან ადამიანის პაპილომავირუსული ინფექცია ყელზე ხშირად სქესობრივი გზით გადადის. ამ ვირუსის მატარებლები არიან მამაკაცები, ამდენად სასურველია მათი ვაქცინაცია.

ალბათ, ბევრისთვის ეს „ფუფუნება“ ხელმიუწვდომელია მისი სიძვირიდან გამომდინარე, მაგრამ შესაძლებელია სკრინინგი – ანუ Pap-დიაგნოსტიკა, რომელიც წელიწადში ერთხელ უფასოა ყველა თბილისელი ქალბატონისთვის. სამწუხაროდ, ეს აქცია რეგიონებში ჯერ არ განხორციელებულა.

**და მაინც, ყველაფრის მიუხედავად უმჯობესია მოიცალონ ქალებმა საკუთარი ჯანმრთელობისთვის, ყველაფერი გაიგონ დაავადების შესახებ, რაც შესაძლებელია, რადგან პაპილომა ვირუსით ინფიცირებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მათ მომავალს და ოცნებები დაამსხვრიოს...**

**საშვილოსნოს ყელის კიბო... ნუ გგონიათ, რომ თქვენთვის ნაადრევია ამაზე ფიქრი!**

**ნია ფიფია**

ხედვა შორიდან

# ნინა ხრუშჩოვა:

# რუსეთი კვლავ პუტინის ქვეყანაა...



**— ჩვენ, ქართველები, პოლიტიკაში კვლავ მიამიტ ხალხად ვრჩებით და გვინდა, რომ პოლიტიკა არ იყოს ფარისევლური, ორ და მრავალსტანდარტიანი. ამიტომაც ყოველ ჯერზე აღვშფოთდებით ხოლმე და მერე „დასავლურ სტანდარტებს“ ვებუტებით.**

— პოლიტიკა ყოველთვის ეფუძნებოდა კონკრეტულ ინტერესებს. ამერიკამ 18 წლის წინათ გამსახურდიას მაგივრად შევარდნაძეს მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ, მისი აზრით, სსრკ-ის ნგრევის დროს ამ სივრცისთვის, რეგიონის სტაბილურობისთვის გამსახურდია უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენდა, ვიდრე შევარდნაძე, რომელსაც უფრო მეტად შეეძლო მანიპულირება და ამიტომ იმ დროისათვის გენიალურ პოლიტიკოსად ითვლებოდა. იგი სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და ამ როლს კარგადაც ასრულებდა. თითქოსდა სწორედ ის გახლდათ ადამიანი, რომელმაც სსრკ-ის კომუნიზმი კოლაფსამდე მიიყვანა. გახსოვდეთ, ამერიკელები ძალიან კარგი, მაგრამ ამავე დროს უზომოდ იდეოლოგიზებული ხალხია. სააკაშვილის ჯორჯ ბუშთან და დიკ ჩეინისთან წარმატება იმან განაპირობა, რომ სააკაშვილს ამერიკული დემოკრატიის იდეოლოგიური ენით საუბარი კარგად ეხერხება. ამბობს, რომ დასავლელი და ლიბერალია, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ იგი ამას არ იზიარებს, მაგრამ ამერიკელებს სწორედ იმათ ენაზე ესაუბრება. ამერიკელებისთვის კი ასეთ რაღაცებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. პოლიტიკაში ასეა: იმას, თუ როგორ ხარ შეფუთული, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე — რეალობას, ანუ იმას, თუ რას აკეთებდნენ რეალურად შევარდნაძე და სააკაშვილი სულ სხვა, მეორეხარისხოვან საკითხად განიხილავდნენ. მთავარი იყო ის, თუ როგორ ჟღერდნენ ისინი. ვაშინგტონისთვის ისინი აბსოლუტურად მისაღებად ჟღერდნენ და, ამიტომ, ბუნებრივია, ორმაგ სტანდარტთან ყოველთვის გვექნება საქმე.

**— რა მოხდება, თუ რუსულ-ამერიკული „პერეგრუზკა“ მარცხით დასრულდა? რუსეთი ამერიკას დიდ „კუზკინა მატს“ უჩვენებს?**

— შესაძლებელი ყველაფერია. მაგალითად, რუსეთმა შეიძლება უარი თქვას ავღანეთის ხაზზე, რაზეც ამერიკას შეუთანხმდა (სპეციალური პრობლემების შექმნა არცაა საჭირო), რუსეთი შეიძლება გამოვიდეს სტრატეგიული ატომური შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებიდან. თუ რაიმე სახის ხარვეზები იქნება, იმედია, ეს მოლაპარაკების საგანი გახდება. დიდი „კუზკინა მატ“ არ იქნება, ომს ერთმანეთთან არ გააჩაღებენ, ისე არ დაიძაბება ურთიერთობა, როგორც ეს ხრუშჩოვს ეიზენჰაუერთან და მერე კენედისთან ჰქონდა.

**—კარიბის კრიზისი?**

— მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ საბჭოთა „კუზკინა მატ“. უნდა გვახსოვდეს, რომ ტანგოს ორი ადამიანი ცეკვავს. ასე რომ, კარიბის კრიზისი ისეთივე „კუზკინა მატ“ იყო ამერიკის მხრიდან, როგორიც — რუსეთის. თუმცა ბოლოს ორივემ გადაწყვიტა, რომ სჯობდა, ასე არ გაერისკათ. საერთოდ, კარიბის ზღვის კრიზისიდან 45 წელი გავიდა და იმედი მაქვს, რომ მან რაღაც მაინც გვასწავლა, ანუ ის, რომ მსოფლიოს ასეთი გამოცდის წინაშე დაყენება უპასუხისმგებლო პოლიტიკაა. როგორც ნიკიტა სერგის ძემ 1968-ში რუსული ტანკების ჩეხეთში შეჭრისას აღნიშნა: „12 წელი გავიდა 1956 წლის უნგრეთის მოვლენებიდან და ჩვენ ისევ იქ ვართ, ნუთუ სხვა ვერაფერი მოვიფიქრეთო?“. იმედი მაქვს, რომ დღეს რუსეთი დისპუტის სხვა მეთოდებს მიმართავს.

**— რუსეთს საგარეო პოლიტიკაში დისპუტის ამ მეთოდებისთვის, როგორც მინიმუმ, ხრუშჩოვისდროინდელი „ოტტეპელია“ საჭირო.**

— გეთანხმებით. „ოტტეპელი“ სავსებით შესაძლებელია. მისი დრო კი მაშინ დადგება, თუ ობამასა და მედვედევს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდება. ხრუშჩოვს ეს უფრო გამოუვიდა, რადგან სტალინი უკვე მკვდარი იყო. მედვედევს კი პუტინი ჰყავს. „ოტტეპელი“ იქნება, თუ ამას პუტინი მოინდომებს, მაგრამ თუ პუტინმა მოინდომა გვიჩვენოს „კუზკინა მატ“, მაშინ „ოტტეპელი“ არ იქნება, რადგან მედვედევი „სასიამოვნო ადამიანია“, მაგრამ იგი რუსულ პოლიტიკაში პრეზიდენტად არ მოიაზრება.

**— „ოტტეპელის“ დროს საქართველოსთვის რა შეიცვლება?**

— ობამა და მედვედევი საქართველოსთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდებიან და ვფიქრობ, რომ მოცემულ სიტუაციაში არც ერთი ქვეყნის ინტერესებში არაა ურთიერთობის საქართველოთი ტესტირება. სააკაშვილი ამ ურთიერთობაში არის მესამე პირი და მისთვის არსებული მდგომარეობის შერყევა ხელსაყრელი იქნება, რადგანაც საქართველო აგრესიის მსხვერპლია და ეს გასათვალისწინებელია. იმედი მაქვს, ჭკუა ყველას ეყოფა საიმისოდ, რომ სიმშვიდე შეინარჩუნოს. არა ვარ დარწმუნებული პუტინისა და სააკაშვილის პასუხისმგებლურ პოლიტიკაში. ობამა კი ამ სიტუაციის შუაში მოხვდება, ანუ იძულებული იქნება გადაწყვიტოს ის საკითხი, რომელიც მასზე სულაც არაა დამოკიდებული. შეიძლება სააკაშვილმა პუტინის „რყევა“ დაიწყოს, პუტინი კი „ყანყალისთვის“ ყოველთვისა მზადაა და მერე ამაზე მყისიერად რეაგირებს. მე კასანდრა არა ვარ და პროგნოზირება არ შემიძლია.

**— საუბარია იმ ქვეყნის ბედზე, რომელთანაც თქვენ ბავშვობა, თბილი მოგონებები გაკავშირებთ...**

— საქართველო ძალიან მიყვარს და იქ ბევრი მეგობარიც მყავს. ბავშვობაში დიდ დროს აფხაზეთში ვატარებდი. ბოლოს სამი თვის წინათ რობერტ სტურუას სპექტაკლის „ბიდერმანი და ცეცხლის წამკიდებლების“ რეპეტიციაზე ვიყავი. ეს სპექტაკლიც კრიტიკულია სააკაშვილის მიმართ, ისევე როგორც, — წინა. დედაჩემი, იულია ხრუშჩოვა ვახტანგოვის თეატრის თანამშრომელია და რობერტ სტურუას ჯერ კიდევ მაშინ დაუმეგობრდა, როცა რეჟისორი ამ თეატრში „ბრესტის ზავს“ დგამდა. ძალიან მიყვარს მერაბ ბერძენიშვილის სკულპტურები. ჟრუანტელი მივლის, როცა მათ შევყურებ. თბილისში 2008-ის ზაფხულში, ომამდე ვიყავი. თბილისმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, ანუ იმის განცდა მქონდა, რომ იქ რაღაც ხდება. რასაკვირველია, შარდენზეც ვიყავი, მაგრამ... როცა თბილისში ვარ, მინდა ვიცოდე და ვგრძნობდე, რომ თბილისში ვარ. ახალგაზრდებს ველაპარაკე, მათ უხაროდათ, რომ თბილისი გათანამედროვდა, მაგრამ შარდენზე მე ვერ გავიგე სად ვარ, ესპანეთში, იტალიაში თუ საქართველოში? ახალგაზრდები მეუბნებოდნენ, რომ აქ ისევე კარგია, როგორც — ვენაში. მე კი ვამბობდი, რომ ჩემი პრობლემა ისაა, რომ ვგრძნობ — ქართული ქრება; გათამედროვეობა კარგია, მაგრამ რატომღაც ქართული ჯადოსნური კულტურა, რომელიც არავის და არაფერს ჰგავს, თანდათან უკანა პლანზე გადადის. როცა იტალიაში ვარ, ვიცი რომ იტალიაა და ავსტრიაში რომ ვარ, ვიცი რომ ავსტრიაა. მაგრამ როცა შარდენზე ვარ, მე არ ვიცი: ვარ თუ არა საქართველოში. ყველაფერი თითქოს ქართულია, მაგრამ...

**— რა არის თქვენთვის ქართული?**

— როცა თბილისში 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ჩავედი, ბუნებრივია, ჩემს ენაზე, რუსულად ვსაუბრობდი. ჩემი სამშობლოსთვის იგივე რომ ექნათ, რაც რუსეთმა საქართველოში ჩაიდინა, მე კეთილგანწყობილი ნამდვილად არ ვიქნებოდი. შემხვდნენ ძალიან კეთილგანწყობილი ადამიანები და არც ისე, მაგრამ პირადად განსაკუთრებული აგრესია არ მიგრძვნია. ტაქსისტები რუსულად საუბარს მომენტალურად იწყებდნენ და წუწუნებდნენ, რომ ადრე, სსრკ-ის დროს ჯობდა, რომ ახლა რთული პერიოდია...

ქართული ჩემთვის — ეს არის ქართული ჰაერი, პატარა მაღაზიები, რომლებშიც სეირნობა ასე მიყვარდა. იქ პატარა სურათები და წიგნები იყიდებოდა; ის ქალებიც მიყვარდა, ამ მაღაზიებს რომ განაგებდნენ. ტაძრები, რუსთაველის თეატრი, პატარა ქუჩები და აივნები, მაგრამ ისინი სულ უფრო და უფრო „დისნეი ლენდს“ ემსგავსებიან. ეს შეიძლება სულაც პოსტსაბჭოური ქვეყნების პრობლემაა იმიტომ, რომ ყველგან „რეკონსტრუქცია“ იწყება. მაგრამ იტალიაში რეკონსტრუქცია იტალიურადაა და არა ამერიკულად. იტალიელები თავის სიძველეებს ინარჩუნებენ. ეს პოსტსაბჭოური ქვეყნების სენია, ყველაფერს ამერიკულს რომ ამსგავსებენ. კი, ამერიკა ინოვაციური ქვეყანაა, იგი ნულიდან აშენდა. მაგრამ ცუდია, რომ ჩვენ ხელი მის იმიტაციას მივყეთ. თბილისში ველარ ვისმენ სიმღერებს, რომელთა მოსმენა ადრე შემეძლო. მინდა იქ პატარა რესტორანი მქონდეს, სადაც „სულიკოს“ ჩავრთავ. მინდა მქონდეს არჩევანის თავისუფლება: „ლავ მაშინსა“ და „სულიკოს“ შორის.

**— თურმე ჩრდილოეთ კორეაში რესტორანში ოფიციანტები „სულიკოს“ მღერიან.**

— ალბათ, იმიტომ რომ ლამაზია.

**— იმიტომაც, რომ მათთვის ეს რუსულ-საბჭოური ჰანგია...**

— თბილისში საცხოვრებლად დიდი სიამოვნებით გადავიდოდი. შევწყვეტდი ამერიკულ ცხოვრებას და საქართველოში დავსახლდებოდი. საქართველოში ცენზურა არ არსებობს, თუმცა ტელევიზია ცენტრიდან იმართება. საქართველოში თავისუფლება იგრძნობა. ესაა ჩემი საქართველო. საქართველოს ისეთი რამ აქვს, რაც სხვაგან არსადაა და, რასაკვირველია, რუსეთსაც აქვს ის, რაც სხვაგან არაა. მაგრამ, როცა ასეთ პატარა ქვეყანას ამდენი გამოჩენილი ადამიანი ჰყავს, ეს სულ სხვა თემაა. რუსეთი დიდი კულტურის ქვეყანაა, მაგრამ როცა პატარა საქართველო ასეთი დიდი კულტურისაა, ეს მას განსაკუთრებულ ქვეყნად აქცევს. შარდენი მშვენიერია, მაგრამ...

**— იმიტომ, რომ თბილისი ლამის დუბაის დაემსგავსა?**

— ჰო, ასეა. როცა დუბაისმაგვარი ქალაქები ამერიკას მიმსგავსებას ცდილობენ, ეს არ არის პრობლემა, მაგრამ როცა საქართველო ამბობს, რომ არის დასავლური, ჩემი აზრით, თქვენთვის ეს ევროპულობას უფრო უნდა გულისხმობდეს. არსებობს სხვადასხვა დასავლურობა. ამერიკის მიბაძვა განა ყოველთვის ცუდია, მაგრამ... ისეთი ქვეყნის აღდგენა, როგორიც საქართველოა, ვფიქრობ, უფრო ევროპულად, მაგალითად, ფრანგულად უნდა მოხდეს, ვიდრე ამერიკულად. ჩემი ამერიკისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა გითხრათ, რომ ამერიკული მხოლოდ ამერიკაში მუშაობს, მაგრამ — არა სხვაგან. არაა საჭირო ხელახლა ახალი ლას-ვეგასის შენება.

**— ალბათ, ერთადერთი რუსი ადამიანი ხართ, რომელიც ამერიკიდან თბილისში ქართულ სპექტაკლზე დასასწრებლად ორიოდე დღით ჩადის.**

— მე ვარ რუსი ადამიანი, რომელიც ქართულ კულტურაში გაიზარდა; რომელიც თბილისში ძალიან ხშირად ჩადიოდა. როცა რუსეთი საქართველოს ბომბავდა, მე უზომოდ განვიცდიდი, ლამის გავგიჟდი. ეს იგივე იქნებოდა, რომ ამერიკას ინგლისი დაებომბა. თქვენი სამშობლო ჩემთვის ჩართულობისა და სიახლოვის სულ სხვა დონე და ხარისხია. ამიტომაც მე არა ვარ საქართველოს უბრალო ვიზიტორი.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. აშშ-ში, ნიუ-იორკი**

**დასასრული. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 238.**

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

## რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: მყავს მარტოხელა ბიცოლა, რომელიც ამჟამად ჩემთან, თბილისში იმყოფება. მას სურს, რომ სოფელში არსებული ბინა მე დამიტოვოს, მაგრამ ბინა არ არის რეგისტრირებული. შეიძლება ბინა მიანდერძოს რეესტრის გარეშე?**

**ც. ციტაიშვილი**

**პასუხი: პიროვნებას შეუძლია ნათესავს ან ნებისმიერ სხვა პირს უანდერძოს ან აჩუქოს მხოლოდ თავისი კუთვნილი ქონება. თუ ბინა, რომელშიც თქვენი ბიცოლა ცხოვრობს, არ არის რეგისტრირებული და თქვენს შეკითხვაში აღნიშნული ქალბატონი არ არის მისი მესაკუთრე, უმჯობესია ჯერ ეს საკითხი მოაგვაროთ და მისი ანდერძით თქვენთვის დატოვების ან ჩუქების თაობაზე ნოტარიუსს შემდეგ მიმართოთ.**

* * *

**კითხვა: თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, სამართლის რომელი ნორმები განსაზღვრავენ მემკვიდრეობის მიღების საკითხებს?**

**გიორგი გზირიშვილი**

**პასუხი: სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის წესსა და ფარგლებს, შეადგენენ სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ნაწილს, რომელსაც მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება.**

* * *

**კითხვა: როგორი წესით ხორციელდება გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა სხვა პირებზე?**

**რევაზ მიმინოშვილი**

**პასუხი: გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით ანდა ორივე საფუძვლით; თუმცა ისინი მემკვიდრეობის სხვადასხვა სახეებია, მაგრამ კანონი ითვალისწინებს ისეთ დებულებებს, რომლებიც მათთვის საერთოა.**

**კითხვა: შეიძლება თუ არა სამკვიდროს დამტოვებელი იყოს იურიდიული პირი?**

**ლალი ბოცვაძე**

**პასუხი: არა, არ შეიძლება. სამკვიდროს დამტოვებელი (იგივე მამკვიდრებელი) მხოლოდ ფიზიკური პირი უნდა იყოს, ხოლო მემკვიდრე, შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია, რომ იურიდიული პირი მხოლოდ ანდერძით მემკვიდრე შეიძლება იყოს.**

* * *

**კითხვა: არის თუ არა აუცილებელი, სამკვიდროს დამტოვებელი იყოს ქმედუნარიანი, თუ ქმედუუნარო პირიც შეიძლება იყოს მამკვიდრებელი?**

**ამირან კირკიტაძე**

**პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად მამკვიდრებლისათვის ყველა შემთხვევაში აუცილებელი არ არის ქმედუნარიანობა. იგი შეიძლება იყოს არასრულწლოვანი და ქმედუუნაროდ აღიარებული პირიც, თუ საქმე არ ეხება ანდერძით მემკვიდრეობას. ანდერძით მემკვიდრეობისას კი მამკვიდრებელი (მოანდერძე) აუცილებლად ქმედუნარიანი პირი უნდა იყოს.**

**კითხვა: იქნებ აგვიხსნათ, ვინ შეიძლება იყოს კანონით და ანდერძით მემკვიდრე (მიგვითითეთ საფუძველი).**

**ლილი ყარაულაშვილი**

**პასუხი: კანონით ან ანდერძით მემკვიდრე შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომელიც ცოცხალია სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების მომენტში, მისი ქმედუნარიანობის მიუხედავად. ამ საერთო წესიდან კანონი უშვებს გამონაკლისს იმათ მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დაბადებულნი სამკვიდროს გახსნის დროისათვის, უფრო კონკრეტულად, სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლი ადგენს, რომ კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც ჩასახული იყვნენ მის სიცოცხლეში, მაგრამ დაიბადებიან სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 თვეში; კანონი ხაზს უსვამს იმას, რომ მამკვიდრებლის შვილების გარდა სხვა ნათესავები (და-ძმები, შვილიშვილები), რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადებიან, კანონით მემკვიდრეთა რიცხვში არ შედიან.**

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ომზე ფილმის გადაღება დასრულდა, ამბობს რეჟისორი

**ჰოლივუდის რეჟისორმა რენი ჰარლინმა, რომელმაც „კერკეტი კაკალი-2" გადაიღო, განაცხადა, რომ საქართველოში რუსეთთან 2008 წლის ომზე ფილმის გადაღება დაასრულა. „მძაფრსიუჟეტიანი ფილმი, რომლის დროებითი სახელწოდებაა „საქართველო" და რომელშიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის როლს ენდი გარსია თამაშობს, ერთგვარი დრამისა და რომანის ნაზავია", – სატელეფონო ინტერვიუში განაცხადა ჰარლინმა. ის საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან გამგზავრებისთვის ემზადებოდა. ფილმის გადაღება დიდწილად ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, თბილისის გარეუბანში მიმდინარეობდა. ეს ბაზა შარშანდელი ომის დროს დაიბომბა.**

„ჩვენ ფილმის სცენების გადაღება საქართველოში დავასრულეთ და მის რედაქტირებაზე მუშაობას შეერთებულ შტატებში განვაგრძობთ იმ ვარაუდით, რომ ფილმზე მუშაობა 2010 წლის მაისისთვის დასრულდება", – განაცხადა ჰარლინმა.

„საქართველოს" გადაღება იმ ღირებულების (დაახლოებით 200 მილიონი დოლარი) 25% დაჯდა, რაც ის დაჯდებოდა შეერთებულ შტატებში გადაღების შემთხვევაში", – განაცხადა მან.

ფილმის რეჟისორები და პროდიუსერები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, როგორც ფილმების გადაღების ადგილს, სულ უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ. 20 ნოემბერს ესპანელმა პროდიუსერმა ანდრეს გომესმა განაცხადა, რომ გაისად ის საქართველოში საშინელებათა ფილმების ჟანრის კინოს გადაღებას გეგმავს, რომელშიც ჰავიერ ბარდემი ითამაშებს.

ჰარლინმა, რომელიც ასევე ფილმის „Nightmare on Elm Street 4" რეჟისორია, განაცხადა რომ ფილმს კერძო დამფინანსებლები ჰყავს, ლოს-ანჯელესში ბაზირებული საპროდუქციო და სადისტრიბუციო კომპანიიდან Rexmedia. ქვეყანაში ფილმს ლოჯისტიკურ და საზოგადოებასთან ურთიერთობის მომსახურებას უწევს კომპანია საქართველოს „გოლდ ინვესტი".

საქართველოში მსახიობი ვოლ კილმერიც ჩამოვიდა, რომელიც ფილმში ჰოლანდიელ რეპორტიორს განასახიერებს. „ბრიტანელი მსახიობი რუპერტ ფრენდი ასევე მთავარ როლს თამაშობს", – თქვა ჰარლინმა.

ჰარლინმა გარსია საქართველოს პრეზიდენტის „ფანტასტიკური" განსახიერებისთვის შეაქო. გასულ თვეში სააკაშვილმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს ფილმი საქართველოს „ნორმალურ ქვეყნად" წარმოაჩენს და ცხადყოფს, რომ კონფლიქტი „შეიძლება ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში მომხდარიყო – და ეს ტრაგედიაა".

რუსეთმა ამერიკელების გაწვრთნილი ქართული არმია შარშან აგვისტოში, სეპარატისტული რეგიონის სამხრეთ ოსეთის გამო გაჩაღებულ ხუთდღიან ომში დაამარცხა. მოგვიანებით, მოსკოვმა სამხრეთ ოსეთი და მეორე სეპარატისტული რეგიონი აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად სცნო. ეს ნაბიჯი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ დაგმო.



ელენა ბედველი

Bloomberg.com

# პუტინი საქართველოს ლიდერს ჰალსტუხის ღეჭვის გამო დასცინის

**ვლადიმერ პუტინმა არადიპლომატიურად დასცინა საქართველოს ლიდერს მიხეილ სააკაშვილს, განაცხადა, რომ მის გვერდით ჰალსტუხის ტარება უსაფრთხო არ არისო.**

როდესაც გასულ კვირას იალტაში პრესკონფერენციაზე რუსეთის ლიდერს სააკაშვილის კიევში ვიზიტზე შეკითხვა დაუსვეს, თავისი ენაკვიმატობით ცნობილმა პუტინმა განაცხადა, რომ საქართველოს ლიდერი და უკრაინის გულმხურვალედ პროდასავლური პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო შეხვედრაზე შეხსნილი პერანგებით უნდა მივიდნენ. „უკეთესი იქნება, თუკი ეს ორი პრეზიდენტი სადილს (თუ სადილის მოწყობას აპირებენ) უჰალსტუხოდ დაესწრება. ჰალსტუხები დღეს ძვირი ღირს... მოკლედ, მიხვდით, ალბათ, რასაც ვგულისხმობ" – თქვა მან, რასაც ჩინოვნიკების და ჟურნალისტების სიცილი მოჰყვა. „იუშჩენკოს სტუმარი თავის ჰალსტუხს გადაყლაპავს".

პუტინი იმ ფართოდ გავრცელებულ ვიდეოს გულისხმობდა, სადაც შარშან სააკაშვილს საკუთარი ჰალსტუხის ბოლო პირში უდევს და ღეჭავს იმ დროს, როდესაც ინტერვიუს დაწყებას ელოდება.

2008 წელს რუსეთს და საქართველოს შორის სეპარატისტული რეგიონის სამხრეთ ოსეთის გამო ომი გაჩაღდა. პუტინმა, რომელიც იალტაში უკრაინის პრემიერ-მინისტრთან იულია ტიმოშენკოსთან მოლაპარაკებისთვის იმყოფებოდა, განაცხადა, რომ იუშჩენკოს და სააკაშვილს ბევრ საკითხზე აქვთ სასაუბრო. „მებრძოლები გაიხსენებენ წარსულ დღეებს და ბრძოლებს, რომლებიც მათ ერთად წააგეს", – მსჯელობდა ის.

ტიმოშენკომ თამაშში აყოლა სცადა და აღნიშნა – „მე ამას აუცილებლად უჰალსტუხოდ გავაკეთებდი".

პუტინმა და ტიმოშენკომ, რომელიც იუშჩენკოს პოლიტიკური კონკურენტია, მათი მოლაპარაკება იმის დემონსტრირებისთვის გამოიყენეს, რომ ხაზი გაესვათ მათი მტკიცე ურთიერთობებისთვის იანვარში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რომელშიც ტიმოშენკოც და იუშჩენკოც მონაწილეობენ.

წყვილი ერთმანეთს მოლაპარაკებისთვის რუსი მეფეების ყოფილ საზაფხულო რეზიდენციაში, იალტაში ლივადიას სასახლეში შეხვდა. ეს სასახლე 1945 წელს ისტორიულ იალტის კონფერენციაზე იოსებ სტალინის, ფრანკლინ რუზველტის და უინსტონ ჩერჩილის შეხვედრის ადგილია.

ისინი ორ ქვეყანას შორის მზარდ ეკონომიკურ თანამშრომლობას განიხილავდნენ და ენერგეტიკა მათ დღის წესრიგში მთავარი საკითხი გახლდათ.

ხუთშაბათს პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი თანახმაა იმ ვალების შემსუბუქებაზე, რომლებშიც ის უკრაინას გაზს აწოდებს. ეს აისახება შეთანხმებაში, რომელიც გულისხმობს, რომ უკრაინა მიმდინარე ვარდნის გამო, არ დაჯარიმდება ნაკლები გაზის გამოყენებისთვის, ვიდრე ეს მიმდინარე კონტრაქტშია მითითებული.

არც პუტინს და არც ტიმოშენკოს უკრაინის 17 იანვრის არჩევნები არ უხსენებიათ, მაგრამ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ის მის უკრაინელ კოლეგასთან მუშაობაში თავს კომფორტულად გრძნობს.

აგვისტოში პუტინის პროტეჟემ, პრეზიდენტმა მედვედევმა იუშჩენკოსთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა და ის „ანტირუსული" პოლიტიკის წარმოებაში დაადანაშაულა.

იუშჩენკომ პრეზიდენტის ფიცი 2005 წლის დასაწყისში, მშვიდობიანი „ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ დადო. ამ რევოლუციამ ხელისუფლებას პრორუსი ვიქტორ იანუკოვიჩი ჩამოაშორა.

ამ კვირაში გამოცხადდა, რომ უკრაინის, ლიტვის და პოლონეთის სამეული ერთობლივი სამხედრო ბრიგადის ფორმირებას გეგმავენ, რათა უფრო ამაღლდეს უკრაინის ნატოში გაწევრების შანსი – ნაბიჯი, რომელიც პოტენციურად რუსეთს განარისხებს.

რუსეთ-უკრაინის ურთიერთობა კვლავ რთული რჩება. ბევრი რუსი უკრაინას რუსეთის ნაწილად განიხილავს და არა დამოუკიდებელ ერთეულად. ამ წლის დასაწყისში პუტინმა უკრაინა „პატარა რუსეთად" მოიხსენია.

ევროპის საგარეო ურთიერთობის საბჭოს წარმომადგენელმა ენდრიუ ვილსონმა განაცხადა, რომ უკრაინა რუსეთთან დამოკიდებულების თვალსაზრისით გახლეჩილია.

„გალიციაში უკრაინული ნაციონალიზმის ეპიცენტრია, მაგრამ აღმოსავლეთით, რუსულენოვან ყირიმში, აბსოლუტურად განსხვავებული განწყობაა. უკრაინული იდენტობა საკმაოდ კომპლექსურია", – განაცხადა მან.

მან ტიმოშენკო დაახასიათა, როგორც „პრაგმატული პრორუსი", მაგრამ განაცხადა რომ თუკი ის პრეზიდენტი გახდება, მას რთული დაბალანსებული მოქმედება მოუწევს, რადგან ის ასევე პროდასავლურიცაა.

რეიჩელ კუპერი

Telegraph.co.uk

# დედამიწის ზურგზე



**პუტინი ვიზიტით საფრანგეთს მიემგზავრება: განიხილავენ კოსმოსს, ავტომობილმშენებლობას და ენერგეტიკას**

რუსეთის პრემიერი ორმხრივი თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის თანათავმჯდომარის სახით მონაწილეობას მიიღებს მის მუშაობაში, რომელიც 27 ნოემბერს გაიმართება პარიზის გარეუბანში. ვიზიტის წინ გაიმართა ვლადიმერ პუტინის სატელეფონო საუბარი საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან.

**არგენტინის ანდებში ამერიკელი ტურისტი გაიყინა**

40 წლის ამარიკელის ცხედარი, რომელიც დაიკარგა 20 სექტემბერს, აღმოაჩინეს საძილე ტომარაში მკვლელობის რაიმე ძალადობრივი ნიშნების გარეშე. იგი ამოიცნეს დამახასიათებელი ტატუირებით მარჯვენა მხარზე. ექსპერტების აზრით, ტურისტი დაახლოებით ერთი თვის წინათ გარდაიცვალა.

**ამერიკელები ავღანეთიდან გავლენ 2017 წლისთვის, გვპირდება თეთრი სახლი**



როგორც ვარაუდობენ, მომავალ კვირას პრეზიდენტი ბარაკ ობამა გამოაცხადებს ავღანეთში კიდევ 30 ათასი ჯარისკაცის გაგზავნას. ამ დროს მის პრეს-მდივანმა გადაკვრით მიუთითა ოპერაციის დამთავრების ვადაზე და დაგვარწმუნა, რომ ქვეყანას არ აქვს განზრახული, კიდევ 8 წლის განმავლობაში იომოს.

**ადამიანებს ესმით არა მხოლოდ ყურებით, არამედ კანითაც, დაადგინეს მეცნიერებმა**

ადამიანი სხვაგვარად აღიქვამს ხმებს, თუ გრძნობს მოლაპარაკის სუნთქვას, დაადგინა კანადელმა მკვლევარმა. ადრე უკვე ცნობილი იყო, რომ ადამიანები სხვადასხვაგვარად „აღიქვამენ" საუბარს იმისდა მიხედვით, ხედავენ თუ არა ისინი მოლაპარაკეს.




**ისრაელმა იორდანიის დასავლეთ სანაპიროზე შეაჩერა მშენებლობა. პალესტინელებისთვის ეს საკმარისი არ არის**

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ებრაელების დასახლებაში შეჩერდება 10 თვით, მაგრამ იერუსალიმში იგი გაგრძელდება. პალესტინელები ამას მიიჩნევენ არასაკმარისად მშვიდობიანი მოლაპარაკების განახლებისთვის. ისინი მოითხოვენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშენებლობის შეჩერებას.

**საფრანგეთის გვიანაში მიიტანეს რუსეთის რაკეტმზიდები „სოიუზ-სტ"**



ამჟამად კურუს კოსმოდრომზე 65 რუსეთელი მუშაობს. რაკეტები უკვე გადაიტანეს კოსმოდრომზე, სადაც მათ შეინახავენ. „სოიუზების" გაშვების პროექტი კურუდან ხორციელდება რუსეთსა და საფრანგეთს შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც ხელი მოეწერა 2003 წლის ნოემბერში. პირველი სტარტი უნდა მოხდეს გაისად.

**დიდ ბრიტანეთში ყოველმა მეხუთე ბავშვმა გადაიტანა ღორის გრიპი ისე, რომ ამაზე ეჭვიც არა ჰქონიათ**



დაავადების ზაფხულის პიკის შემდეგ ექიმებმა აღმოაჩინეს ამ გრიპის ანტისხეულები ყოველი მესამე ბავშვის სისხლში. ეს ნიშნავს, რომ მათ უკვე გადაიტანეს ავადმყოფობა. მედიკოსები ვარაუდობენ, რომ ასეთი ბავშვების თითქმის ნახევრისთვის ავადმყოფობამ უსიმპტომოდ ჩაიარა.

◎ თაობათა უწყვეტი ჯაჭვი

# უფლის საჩუქარი

## „ალექსანდრეს ბაღში" ციცქნა ანანოსთვის მოყოლილი მოგონებების დასასრული



ვინ მაცალა, ბაბუ, ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან მუშაობა – საბჭოთა არმიაში მიკრეს თავი – 27 წელი მისრულდებოდა და, წესით, ერთი დღეც რომ გადაეცილებინა კომისარიატს, მერე ვეღარ წამიყვანდნენ. დატრიალდა ჩემი „პროტეჟე", დიდებული პიროვნება, გენერალი გიორგი ყურაშვილი (დედაჩემის ბიძაშვილმა დაგვაახლოვა მასთან), 18 წლიდან 27 წლამდე რომ საბჭოთა ჯარში ვერა და ვერ გამამწესეს, ბატონ გიორგისაც ჰქონდა „წვლილი", ჩემი ნათლია პავლე (ჭონჭი) მარდალეიშვილი – ცნობილი ტრავმატოლოგი ყოველნაირად ცდილობდა აგრეთვე ჩემს დახმარებას, ხან სტუდენტობის დამადასტურებელი ცნობა მიმქონდა კომისარიატში (ერთი ხანობა იყო ასეთი წესიც – სტუდენტები არ მიჰყავდათ ჯარში), მაგრამ ამჯერად ვერც გენერალმა მიშველა. თუმცა, ის კი „ჩამიწყო", რომ სულ ერთი წლით გამგზავნეს ჩემთვის ასე საყვარელ საბჭოთა არმიაში, აქვე, ბათუმში, სადაც „ზედა „გოროდოკში" მოვხვდი და თუ როგორ გავატარე იქ „ჯარისკაცური ცხოვრება", ცოტა ხნის წინათ, მოკლედ კიდეც გიამბე, ბაბუ...

გავათრიე, როგორც იქნა, 27 წლის კაცმა 11 თვე „ჭყინტ" ბიჭებში, ხან სპორტსმენობა დავიბრალე – სამბისტი ვარ-მეთქი, ხმა დავყარე სამხედრო ნაწილში და ბათუმში, ენგელსის ქუჩაზე არსებულ საჭიდაო დარბაზში დავდიოდი, ვითომ, სავარჯიშოდ (სადღა იქნება ახლა ის დარბაზი), ხან გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქციაში შევივლიდი ხოლმე (სულგანათლებულ ალექსანდრე სამსონიასთან და ჩემი სტუდენტობის მეგობარ ავთო დიასამიძესთან)... მოკლედ, ასე გავათრიე... თუმცა კი ბევრი სასიამოვნო დღეც მახსოვს... დავდიოდით, მაგალითად, გონიოს სასროლეთზე და ნიშანში ვესროდით ხოლმე ჯარისკაცები ავტომატებიდან... Молодец, Мардарашвили! – მაქებდა კომბატი კრავჩუკი (ჩემს გვარს მთლად სწორად ვერ წარმოთქვამდა), თუკი სამიზნეს დავაზიანებდი...

...ჩამოვედი სამხედრო სამსახურიდან და, სადღაა სამოქალაქო სამსახური... დავდივარ „კომუნისტის" რედაქციაში, ვბეჭდავ რაღაც-რაღაცებს... ერთ დღესაც, უკვე ჩემი ძმა და მეგობარი, გაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე ლერი კიკნაძე მეუბნება, გავიგე, მგონი, თეატრალური საზოგადოების გამომცემლობაში ყოფილა რედაქტორის ადგილი, დოდო ანთაძეს კარგად ვიცნობ და ვეტყვი, იქნებ, მიგიღონ იქაო... სიტყვა საქმედ აქცია ჩემმა ლერიმ და ერთ კვირაში უკვე საქართველოს თეატრალური საზოგადოების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების რედაქტორი გავხდი... ახალი სამყარო, სრულიად ახალი ხალხი, შესანიშნავი ადამიანები... მალე დოდო ანთაძე დოდო ალექსიძემ შეცვალა საზოგადოების თავმჯდომარის პოსტზე... ახლა, გიყვები ამას და გონებაში ცოცხლდებიან კიროვის ქუჩის ბოლოში (დღეს ლეონიძის ქუჩაა) მდებარე მსახიობის სახლსა და თეატრალურ საზოგადოებაში ქართული თეატრს გადაყოლილი ადამიანები, ქალბატონები – ლილი ლომთათიძე (განყოფილების გამგე), ნონა გუნია, ნათელა ფურცელაძე, თინა ტაბიძე, იამზე გვათუა, ნინო ხელაძე... ბატონები: დოდო ალექსიძე, ლეო შენგელია, ჭიჭიკო აბაკელია, გაიოზ იაკაშვილი, ბადრი კობახიძე, კოტე ნინიკაშვილი, ერემია ქარელიშვილი, გურამ ბათიაშვილი და სხვები...

მოდიოდა ხოლმე დერეფანში ბეჭების რხევით ცნობილი ჟურნალისტი და ხელოვნებათმცოდნე, გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი ბატონი ოთარ ეგაძე – იმპოზანტური გარეგნობის ნაღდი მამულიშვილი... შემოვიდოდა ბატონი ოთარი ჩვენს განყოფილებაშიც... რატომღაც უცებ დავახლოვდით... შენ ხარ, კაცო, ის მარდალეიშვილი, „კომუნისტში" რომ ბეჭდავ კულტურის საკითხებზეო?! მე თავი დავუქნიე და ბატონმა ოთარმა არც აცია, არც აცხელა, უცებ მითხრა, შეაგროვე მერე ეგ მასალები, მოიტანე გამომცემლობაში და გამოგიცემო... აბა, წარმოიდგინე, ბაბუ, ჩემი სიხარული!.. რაღას დავაყოვნებდი, უცებ შევაგროვე, რაც, ჩემი აზრით, ღირებული და საწიგნე იყო და მივიტანე „ხელოვნებაში". მომცრო კრებული – „დიალოგები კინოზე" სულ ორიოდე თვეში გამოსცა ბატონმა ოთარმა 1976 წელს... ასეთი ხალხი, ვაი რომ, ნაკლებადაა დღეს, ბაბუ, ადამიანებს, თითქოს, აღარ უყვართ ერთმანეთი, მწვანე ბანკნოტმა დაიპყრო ყველაფერი და სადღაც შორს დარჩა ქართული გულის სითბო... იქნებით თქვენ ერთმანეთთან ბაბუ, თქვენი წინაპრების დარად?! ღმერთმა ნუ ქნას, არ იყოთ!.. როგორც დღეს იტყვიან, პრაგმატული ურთიერთობა რა ქართველის საქმეა... ქართველი რომანტიკოსია, „ვეფხისტყაოსნის" შემქმნელია, ვაჟკაცების, მეგობრისთვის თავდადების, მოყვარული გულის მადიდებელია და შენმა თაობამ, ანანო, გულის კოვზზე უნდა დაიწეროს ეს ყოველივე!.. კაი ექვსი წელი ვიმუშავე თეატრალური საზოგადოების გამომცემლობაში და, ერთ დღესაც „კომუნისტის" რედაქციაში რომ ვარ, ლერი კიკნაძე (ისევ ლერი კიკნაძე!) მეუბნება, ჩვენი განყოფილებიდან წავიდა ზურაბ რცხილაძე და გაზეთის რედაქტორმა დავით მჭედლიშვილმა მითხრა, მოიყვანე ვილენ მარდალეიშვილი, მივიღოთ ზურაბის ადგილზე, მაინც ჩვენთან არის ხშირადო... (ღმერთმა გაანათლოს ლეგენდარული რედაქტორის დავით მჭედლიშვილის სული, მთელი ცხოვრება დავალებული ვარ მისგან).

რას ჰქვია ვისურვებ!.. გაზეთ კომუნისტში", მართლაც რესპუბლიკის პრესის ფლაგმანში, მუშაობას, რომ იტყვიან, მთელი ჟურნალისტური ელიტა ესწრაფვოდა მაშინ და მე უარი რატომ უნდა მეთქვა?.. თანაც, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში, ჩემს სტიქიაში, უკვე ნაცნობ ადამიანებში!.. 800000-იანი ტირაჟით გამოდიოდა, ანანიკო, იმ დროს გაზეთი „კომუნისტი", ანუ შენი ბაბუკოს წერილებს მთელი საქართველო ეცნობოდა!.. მეტი რა უნდა ჟურნალისტს?!. ყველა იმდროინდელი ჟურნალისტისთვის სანატრელ რესპონდენტებს, ერის სათაყვანებელ ადამიანებს ვხვდებოდი – ეს, მიხეილ ჭიაურელი და ვერიკო ანჯაფარიძეო, სერგო ზაქარიაძე და სესილია თაყაიშვილიო, ლეილა აბაშიძე და ოთარ მეღვინეთუხუცესიო, აკაკი გაწერელია, პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, ლევან სანიკიძე და კიდევ რომელი ერთი ჩამოგითვალო?.. დიდი რომ გახდები, შენც გაიგებ მათ სახელებსა და დამსახურებას მშობელი ქვეყნის წინაშე, ჩემო ანანიკო...

რა დამავიწყებს ერთ-ერთ შეხვედრას კონსტანტინე გამსახურდიასთან: ქართული სიტყვის დიდოსტატის საიუბილეო თარიღია, მგონი, 70 წლისა ხდებოდა, „კომუნისტის" რედაქტორი უკვე გიორგი ბედინეიშვილია, გულგახსნილი პიროვნება და პროფესიონალი, უკვე მაშინ, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში რომ გვაგრძნობინა ოფიციოზში თავისუფალი სიტყვის ფასი... რა თქმა უნდა, წინასწარ არის შეთანხმებული დიდოსტატთან ჩემი შეხვედრა. ავედი გალის ქუჩაზე, ბაბუ, იქაა წამომართული „კოლხური კოშკი", იქ ცხოვრობს ბატონი კონსტანტინე... ქალიშვილმა, სულგანათლებულმა თამარ გამსახურდიამ წარმადგინა მწერალთან... ზის ბატონი კონსტანტინე მაგიდასთან და სადილობს, მოიხედა, შემათვალიერა, – სადაური ხარ ყმაწვილო?! – მეკითხება.

– წყალტუბოს რაიონიდან ვარ, ბატონო კონსტანტინე, – სოფელ მაღლაკიდან – ვუპასუხებ. ამას რას მოვესწარი, თითქმის ზეპირად ვიცი მისი „დიდოსტატის მარჯვენა". – რა გვარი ხარ? – დაინტერესდა. მარდალეიშვილი – ვუპასუხებ. გამოცოცხლდა, თვალებში ღიმილი ჩაუდგა: **მართალეიიდან** არის თქვენი გვარი, **მართალეიშვილები** ხართ თქვენ! ხომ გახსოვს უტუს ლაშქარში მართალია თოდუა, იქიდან მოდიხართ!.. დღემდე ვიხსენებ ხოლმე, ბაბუ, ამ ფაქტს, ის კი არა, რამდენჯერმე მოვაწერე წერილს – **მართალეიშვილი...** ზოგი ახლო მეგობარი ასე მომმართავს კიდეც... მე არ ვიცი, რამდენად სწორია ბატონი კონსტანტინეს თვალსაზრისი ჩვენი გვარის მიმართ, ის კი ნაღდია (შენ თავს ვფიცავ, ბაბუ!), რომ დღემდე ალალ-მართალი გულით დავდივარ (ასე იყო ჩემი მამა-პაპაც) და ძალიან მინდა შენც გადმოგედოს ჩვენი გვარ-ჯილაგის ეს თვისება – სიმართლის მსახურება (რაც არც ისე ადვილია)...

შტატში ჩამრიცხეს, თორემ მე, უკვე რამდენიმე წელი, შინაური კაცი ვიყავი აქაურებისთვის, ქართული ჟურნალისტიკის „კიტებისთვის", ჩემი ვაჟა, უბედურად დაღუპული, ენციკლოპედიური განათლების კაცი, ჩემი ვაჟა ჭანიშვილი, ჩემი ოთარ ლორთქიფანიძე, ჩემი გურამ სამსონაძე, ჩემი ჯიმშერ ენუქიძე, ჩემი გურამ ხარაიძე, ჩემი გიზო ყიფიანი, ჩემი გივი ჩიქვინიძე, ჩემი გივი მაისურაძე, ბატონი ზენო თათარაშვილი, ბატონი ალექსანდრე ზურაშვილი და ბაკური, ჩვენი ბაკურ ბახტურიძე და სხვები, სხვები და სხვები, ბატონები თუ ქალბატონები ამ დიდი რედაქციისა, რომელთაც დღეს ხშირად ვიგონებთ ხოლმე გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, ალეკო ასლანიშვილი... ერთი ცნობილი პუბლიცისტი, მთარგმნელი, ლიტერატორი, რომელიც იმ დროს რედაქტორის მოადგილე იყო და, შტატში მიღებისას, კეთილი სიტყვა არ დაუშურებია ჩემს მიმართ, მეორე – ცნობილი ჟურნალისტი, გულიანი კაცი, დღეს უკვე ჩემი რედაქტორი, მესამეც – ცნობილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, გაზეთ „სახალხო განათლებიდან" გადმოვიდა „კომუნისტში".

თითო-ოროლაღა შემოვრჩით იმ ხალხიდან: ტრაგიკული სიბერის მქონე გამორჩეული ჟურნალისტი ბატონი მიშა მიქაძე, კარგა ხანია რომ აღარ შეგვხმიანებია, მშობელ ჯიხაიშში ატარებს გაძაღლებულ სიბერეს (ორი ვაჟიშვილი დაეღუპა)... ლერი, ჩემი ლერი კიკნაძე და სათნო ქალბატონი, პოეტი და ჟურნალისტი, ერთ დროს ჩემი განყოფილების გამგე ნანა ღვინეფაძე, ათასში ერთხელ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაგვხედავენ „თავიანთი დროის" ხალხს... არ გვივიწყებენ ჩვენი კოლეგა დაიკოები – რუსუდან მუხიგულაშვილი, ბელა დურგლიშვილი, ნაზი იმნაიშვილი, ცისანა სიხარულიძე, ლალი ქინქლაძე...

ეს ადამიანები, ვინც მე ვახსენე, ბაბუ და კიდევ რამდენი ქართულ სიტყვას, ქართულ საბჭოთა ჟურნალისტიკას ემსახურებოდნენ და ცენზურის პირობებშიც კი („კომუნისტი" „კომუნისტი " იყო) დამოუკიდებელ აზროვნებას ახერხებდნენ... ამ მხრივ მე, შეიძლება ითქვას, ბედის ნებიერი ვიყავი, ბაბუ – ვემსახურებოდი ქართულ კულტურას, ანუ, ამა თუ იმ მასალაში ინტიმის შეტანა და „ფრთების გაშლა" მეტად შეიძლებოდა... ამან მაფიქრებინა, შემომეღო გაზეთში რუბრიკა „დღევანდელი ნომრის სტუმარი", რაშიც მხარი დამიჭირეს გიორგი ბედინეიშვილმა, გურამ გოგიაშვილმა და მეც ვიწვევდი და ვიწვევდი ისეთ სახელოვან ადამიანებს, ზემოთ რომ ჩამოგითვალე, ანანიკო... ვსაუბრობდით ჩვენ საქვეყნო საკითხებზე, აქეთურზე, იქითურზე... არ ვიცი, შეიძლება ამ ციკლის გამოც, 1986 წელს წლის საუკეთესო ჟურნალისტად დამასახელა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა, უფრო ადრე, 1981 წელს ასეთი შეხვედრები ერთ წიგნში რომ მოვაქციე და „ძვირფასი წუთები" დავარქვი (ისევ ოთარ ეგაძემ გამომიცა), 1988-ში გამოცემულმა (ბატონი გურამ გვერდწითელის დახმარებით „მერანში") ცოტა უფრო მოზრდილმა კრებულმა – სახელწოდებით „რედაქციიდან გაწუხებთ" – „საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემია" დაიმსახურა. არ გამიმხილა, მაგრამ, რაღ უნდა ლაპარაკი, რომ ჩემი იმჟამინდელი რედაქტორი, ბატონი ნიკა ჩერქეზიშვილი კეთილ სიტყვას ნაღდად შემაწევდა საკონკურსო კომისიის სხდომაზე, რახან, როგორც „კომუნისტის" რედაქტორი, ამ კომისიის წევრი იყო...

შენ როცა ამ მოგონებებს წაიკითხავ, ანანიკო, შეიძლება იფიქრო, სულ ასე კეთილი ადამიანებით როგორ იყო გარშემორტყმული ბაბუაჩემიო... არ ვიცი, ბაბუ!.. ფაქტია, რომ მე თითქოს არც შემხვედრია ბოროტი კაცი ცხოვრებაში. კი, როგორ არ „ჩავჭრილვართ", როგორ არ „შეგვშლია" რაღაც-რაღაცები, მაგრამ ბოროტი სული ჩემგან შორს იყო... შეიძლება იმიტომაც, რომ თვითონ მე ვცდილობდი მთელი ცხოვრება, რომ სიკეთე მეთესა, აკი, ჩემს ჟურნალისტიკას, „სიკეთის ჟურნალისტიკა", ადამიანების მოფერება შეარქვეს კოლეგებმა თუ მკითხველებმა... (თუმცა, „საზოგადო ჭირზე" წერაც არასდროს დამვიწყნია) და დღეს, როდესაც ასე მძაფრობს საქართველოში ერთმანეთის ლანძღვა-გინება და ზოგი ჩემი კოლეგა თავს იწონებს იმით, რომ ზუსტად ესროლა ტალახი მავანს და მავანს, ბაბუაშენს სულ ის ეპიზოდი ახსოვს ბიბლიიდან, ქრისტე რომ უდაბნოში მიდიოდა თავის მოწაფეებთან ერთად, მოწაფეები ძაღლის ლეშს რომ გადააწყდნენ და ცხვირი აიბზუეს, როგორ გახრწნილაო, იესო კი მოწაფეებს ეუბნება, ნახეთ, რა ლამაზი კბილები აქვსო... ანუ ადამიანებში სილამაზე უნდა დაინახო, ბაბუ... როგორც ქართველი კაცი ამბობს, სიკეთე ურმით დადის, მაგრამ კარგად დადის, შეიძლება ბევრმა არც დაიმახსოვროს, მაგრამ, როგორც „დათა თუთაშხიას" ფილოსოფია გვასწავლის, კარგი ჰქენი და გაიარე, სამაგიეროს სიკეთეს ნუ დაელოდები... თუმცა რა სჯობს, თუ ზოგ-ზოგი დაიმახსოვრებს, ეს მადლიერებაა. მაგალითად, მე არასდროს დამავიწყდება ჩემმა („კომუნისტის") ერთ-ერთმა რედაქტორმა, ჩემი თაობის ნიჭიერმა კაცმა ნუგზარ ფოფხაძემ, როგორ დააფასა ჩემი შრომა, ჩემი ყოველდღიური დევიზი: „პირველ იყო საქმე" (თუმცა არც სუფრას და პურ-მარილს ვიკლებდი) და, ჯერ კიდევ კომუნისტების ეპოქაში, როდესაც დამტკიცებული ხელფასები „ზემოდან" მოდიოდა, ადგა და მე და თემო მეტრეველს 50-50 მანეთი მოგვიმატა... ჩემს ქრონიკულ უფულობას ამით, თითქოს, დიდი არაფერი შემატებია, ბაბუ, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურად ძალზე დადებითი მუხტი შემძინა...

ვილენ მარდალეიშვილი.

(დასასრული იქნება)

### ბილიარდი

## კვლავ ალექსიძე უთავკაცებს



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ბილიარდის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა.** ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ალექსიძემ დელეგატებს საქმიანობის ოთხწლიანი ანგარიში წარუდგინა, სადაც ნათქვამია, რომ საანგარიშო პერიოდში ქართველი მობილიარდეები მონაწილეობდნენ 15 საერთაშორისო შეჯიბრებებში, განსაკუთრებით ისახელა თავი პაატა ხმალაძემ, რომელმაც ზაზა დარასელის ტურნირი მოიგო და შარშან კიევში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა.

ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ პაატა ხმალაძე, თამაზ შილაკაძე, როსტომ როსტომაშვილი, გია ჯავრიშვილი, ლევან ინწკირველი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავა.

დელეგატებმა მომდევნო ოთხი წლით ფედერაციის თავკაცად ისევ დავით ალექსიძე აირჩიეს.

### ჭადრაკი

## ჯობავა მესამე ეტაპზე გავიდა



**ვენესუელელი დიდოსტატი ედუარდო იტურისაგა (2605) ახალგაზრდა კაცია, ამას წინათ 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე მე-10 ადგილი დაიკავა.** ხანტი-მანსიისკში ფიდეს თასის მესამე გათამაშებაზე მან პირველი ეტაპი წარმატებით გადალახა და მეორე რაუნდში ქართველ დიდოსტატ ბაადურ ჯობავას (2696) დაუპირისპირდა. პირველი პარტია ყაიმით დამთავრდა, მეორეში კი ჩვენებურმა სძლია მეტოქეს და მომდევნო ეტაპზე გავიდა. აქ კი რუს ალექსანდრ გრიშჩუკს (2738) შეხვდება. პირველი პარტია დღეს გაიმართება.

### ფეხბურთი

## ღირსებას ღირსეულნი უფრთხილდებიან

**ხომ გსმენიათ, გმირობას ყველას ვერ მოსთხოვო.**

**ასევეა ის თემაც, რომელსაც ახლა უნდა შევეხოთ. ესაა ღირსება, გნებავთ — თავმოყვარეობა.**

სიტყვა რომ არ გაგვექცეს განზე, სათქმელს ახლავე მოგახსენებთ. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის V ტურში მოტივაციადაკარგულმა „ბორდომ", რომელმაც ვადამდე მოიპოვა პლეიოფის საგზური, ძვირფასი ქულე-



ბი დააკარგვინა ტურინის „იუვენტუსს", რაც „ბებერი ქალბატონისთვის" შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს, ხოლო „მანჩესტერმა", საგაზაფხულო მეოთხედფინალებისთვის რომ უკვე კარგა ხანია ემზადება, ბოდიში და, ფეხებზე დაიკიდა პრესტიჟი და, ტოტალიზატორთა გასახარად, „ბეშიქთაში" აზეიმა.

აი, სწორედ ამას ვგულისხმობდით, როცა ვამბობდით: ავტორიტეტს ყველა როდი უფრთხილდებაო.

**გთავაზობთ ოთხშაბათის რაუნდის სრულ შედეგებს:**

**„ა" ჯგუფი.** „ბორდო" — „იუვენტუსი" 2:0, „ბაიერნი" — „მაკაბი" 1:0.

„ბორდო" — 13, „იუვენტუსი" — 8, „ბაიერნი" — 7, „მაკაბი" — 0 ქულა.

**8 დეკემბერს ითამაშებენ:** „იუვენტუსი" — „ბაიერნი", „მაკაბი" — „ბორდო".

**„ბ" ჯგუფი.** „მანჩესტერი" — „ბეშიქთაში" 0:1, ცსკა — „ვოლფსბურგი" 2:1.

„მანჩესტერი" — 10, „ვოლფსბურგი", ცსკა — 7-7, „ბეშიქთაში" — 4 ქულა.

**8 დეკემბერს ითამაშებენ:** „ვოლფსბურგი" — „მანჩესტერი", „ბეშიქთაში" — ცსკა.

**„გ" ჯგუფი.** „მილანი" — „მარსელი" 1:1, „რეალი" — „ციურიხი" 1:0.

„რეალი" — 10, „მილანი" — 8, „მარსელი" — 7, „ციურიხი" — 3 ქულა.

**8 დეკემბერს ითამაშებენ:** „მარსელი" — „რეალი", „ციურიხი" — „მილანი".

**„დ" ჯგუფი.** „პორტუ" — „ჩელსი" 0:1, „აპოელი" — „ატლეტიკო" 1:1.

„ჩელსი" — 13, „პორტუ" — 9, „ატლეტიკო" — 3, „აპოელი" — 2 ქულა.

**8 დეკემბერს ითამაშებენ:** „ატლეტიკო" — „პორტუ", „ჩელსი" — „აპოელი".



### სუმო

## „შავ ზღვას" დაქვეითება ემუქრება

**იაპონიაში კუნძულ კიუსიუს ბაშოს მე-11 ტურში შესანიშნავად იასპარეზა ახალგაზრდა ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი), რომელმაც მონღოლი „ვეფხვი" მოკონაში დაამარცხა და დარჩენილ ოთხ შეხვედრაში საკუთარი რეკორდის დამყარებას ერთი მოგებაღა აშორებს.**



სამწუხაროდ, ძალიან ცუდი ბალანსი აქვს ლევან ცაგურიას (კოკაი). მან მე-7 მარცხი იწვნია და კიდევ ერთს თუ წააგებს, ალბათ, ქვედა დივიზიონში დაქვეითდება.

ბაშოზე იმპერატორის თასისთვის 11-11 მოგებით განაგრძობენ ასპარეზობას ასაშორიუ და ჰაკუჰო. ისინი უახლოეს მეტოქეებს ორ-ორი ქულით უსწრებენ.

### იდეა

## მურთაზ ხურცილავა და ალექსანდრე ჩივაძე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ვარსკვლავის გახსნას იმსახურებენ

**ქართული ფეხბურთის წარსულსა და აწმყოში გათვითცნობიერებულ მკითხველს, ალბათ, არ გაუკვირდება ჩემი განცხადების სითამამე და, დარწმუნებული ვარ, დამეთანხმება კიდეც.**

ვიმედოვნებ, აღნიშნულ იდეას მხარს დაუჭერენ თბილისის მერი ბატონი გიგი უგულავა, შესაბამის უწყებათა თავკაცები, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი, პრესა, რადიო და ტელევიზია. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ჩვენი მისახედი და გადასაწყვეტი საკითხია.

ის ფაქტი, რომ ოსტატობითა და ლიდერის თვისებებით გამორჩეული ეს ჩვენი თანამემამულენი სხვადასხვა დროს საკუთარი გუნდისა და, განსაკუთრებით, ქვეყნის ნაკრების კაპიტნები იყვნენ, მართლაც რომ ქართული საფეხბურთო სკოლის ღირსეული აღიარება და დაფასება იყო, იმ სკოლისა, რომელმაც საფეხბურთო სამყაროს ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი აჩუქა.

მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მათ დოსიეს.



მურთაზ ხურცილავამ თბილისის „დინამოში" 1961-1975 წლებში გამართულ 371 მატჩში 21 გოლი გაიტანა, ხოლო საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისური 70-ჯერ მოირგო და 7-ჯერ დაამწუხრა მეტოქეთა მეკარეები. არის 1966 (მოიპოვა ბრინჯაოს მედალი) და 1970 წლების მსოფლიო ჩემპიონატების, 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის (ვერცხლის მედალი) და მიუნხენის XX ოლიმპიადის (III პრიზიორი) მონაწილე. სპორტის დამსახურებული ოსტატი ექვსჯერ შეიყვანეს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელთა ნუსხაში. მიწვეული იყო ევროპის სიმბოლურ ნაკრებში. საკავშირო ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი სფფ საპატიო ვიცე-პრეზიდენტია.



ალექსანდრე ჩივაძე 1974-1987 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში" და ამ პერიოდში 425 შეხვედრაში 61 გოლი გაიტანა, ხოლო ქვეყნის ნაკრების ღირსება 53-ჯერ დაიცვა. სპორტის დამსახურებული ოსტატი 7-ჯერ შეიყვანეს 33 საუკეთესოს სიაში, მონაწილეობდა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. არის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1978), საკავშირო თასის ორგზის მფლობელი (1976, 1979) და თასების მფლობელთა თასის გათამაშების გამარჯვებული (1981). ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ახლახან კიდევ ერთხელ აირჩიეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად.

დამეთანხმებით, ასეთ საამაყო მამულიშვილთა სახელობის ვარსკვლავები დედაქალაქს უნდა ამშვენებდეს.

**დურმიშხან ცინცაძე**

### ინტერნეტიდან

## უეფამ მექრთამეები დაასახელა

**ევროპის ფეხბურთის კავშირი (უეფა) ეჭვს გამოთქვამს ხუთი კლუბის მოლაპარაკებით მატჩებში მონაწილეობაზე. უეფას მონაცემებით, ალბანურმა „ტირანამ", ლატვიურმა „დინაბურგმა", უნგრულმა „ჰონვედმა", აგრეთვე სლოვენიურმა „ვლაჟნიამ" და „ლიუბლიანამ" წლეულს ჩემპიონთა ლიგის და ევროპის ლიგის შვიდი მოლაპარაკებული, შეიძლება ითქვას, გაყიდული მატჩი გამართა. ისინი 16 ივლისიდან 6 აგვისტომდე შედგა.**



ოთხშაბათს უეფას წარმომადგენლები შეხვდნენ 9 ქვეყნის — ავსტრიის, ბელგიის, ბოსნიის, ხორვატიის, გერმანიის, უნგრეთის, სლოვენიის, თურქეთისა და შვეიცარიის ფეხბურთის ეროვნული ასოციაციების ლიდერებს გამოძიების მიმდინარეობაზე ინფორმაციის გასაზიარებლად.

„გაიგეს რა მოლაპარაკებითი მატჩების მასშტაბებზე, ბევრი შოკირებული დარჩა, — განაცხადა სამსაათიანი შეხვედრის შემდეგ უეფას გენერალურმა მდივანმა ჯანი ინფანტინომ, — მაგრამ სხდომის ბოლოსთვის ჩვენ უკვე ბევრად უფრო დარწმუნებული ვიყავით, ჩვენ ხომ ამ პრობლემებზე ერთად ვმუშაობთ".

## ფედერერი — პირველი ჩოგანოსანი

**წლის დასკვნით ტურნირზე ლონდონში მეორე მატჩში ბრიტანელ ენდი მარეიზე გამარჯვებით შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა გაინაღდა 2009 წლის მსოფლიო რეიტინგში პირველი ჩოგბურთელის წოდება.**



28 წლის ფედერერმა კარიერაში მეხუთედ გაინაღდა ლიდერობა, შემაჯამებელ ტურნირებზე ისე რომ, ესპანელი რაფაელ ნადალი მას ვეღარ დაეწევა. თანაც ფედერერი ისტორიაში მეორეა ჩეხ ივან ლენდლის შემდეგ, რომელმაც წლის შედეგებით დაიბრუნა ლიდერობა.

## ნიუ-იორკშიც გამოფინეს

**პოპულარული მსახიობი ქალი ლეიტონ მისტერი, ტელესერიალის „ჭორიკანა" ვარსკვლავი, სპორტული ბრენდის Reebok სახე გახდა. ჟურნალებისთვის ის გადაიღეს სპორტში ვარჯიშისთვის მორგებული ფეხსაცმელით, ხოლო ნიუ-იორკის ქუჩებში გამოფინეს რამდენიმე პოსტერი რეტროს სტილში, რომელშიც მისტერი რეკლამას უწევს კროსის სპორტულ ფეხსაცმელს, 60 დოლარი რომ ღირს.**



ის დევიდ ბექჰემის ცოლის ვიქტორიას მეგობარია და მის კაბებსაც კი ირგებს.

მსახიობის კარიერის გარდა, ის მუსიკაშიც სცდის თავს. ამას წინათ კონტრაქტი გააფორმა მუსიკალურ ფირმასთან და სადებიუტო ალბომსაც წერს, რაშიც ეხმარება ცნობილი მუსიკოსი ჯეი არ როტემი, ცნობილი რომ გახდა ბრიტნი სპირსთან თანამშრომლობით.

◉ სკოლა: მომავალი მოდის!

# „მოვიარე საქართველო“...





**კიდევ ერთი საინტერესო დღე თბილისის მერვე საჯარო სკოლაში. ვარდების რევოლუციის მეექვსე წლისთავი და გიორგობის ლამაზი დღესასწაული საქართველოს კუთხეების „შემოვლით“ აღნიშნეს სკოლის თვალხატულა გოგო-ბიჭებმა. ერთმა ნაწილმა არქეოლოგობა ისურვა, მეორემ — რეჟისორობა, სხვები მწერლობასა და მხატვრობაზე ოცნებობდნენ. მარი სარსევანიძემ კი უბრალოდ მოგზაურის როლში ყოფნა არჩია, მისი სურვილია მოიაროს საქართველოს მთა და ბარი, გაეცნოს ჩვენი ხალხის ყოფას და მათ ყოველდღიურ პრობლემებს.**

სცენაზე ისმის მუსიკალური ჰანგები: „საქართველოო ლამაზო“ და პატარა გოგონა დედას ეკითხება: „დედი, რა არის სამშობლო“? პასუხიც მზადაა: სამშობლო — სიყვარულის ზღვაა, — ჯეჯილ-ყანებია, ტყეებია, მიწაა, ჰაერია, პურია, ბაღ-ვენახია, სამშობლო დედაა, შვილია...





სცენის სიღრმეში ჩანს საქართველოს რუკა. მეორეკლასელებმა აფხაზეთი წარმოადგინეს თავისი წარსულითა და დღევანდელი ტკივილით. აფხაზეთს აჭარა ცვლის. მეოთხეკლასელები გულწრფელად მსჯელობენ აჭარის წარსულსა და აწმყოზე. ისინი ამაყნი არიან, რადგან სამი საუკუნის განმავლობაში ვერ შეძლო მტერმა ამ ძირძველი ქართველების გადაჯიშება. კმაყოფილებას გამოთქვამენ ვარდების რევოლუციის მონაპოვარზე, ჩოლოქის ალდგენილ ხიდსა და ბათუმის ალმშენებლობაზე.

აჭარა იუმორით სავსე მეშვიდეკლასელმა გურულებმა შეცვალეს. მათი სიმკვირცხლე და ენამოსწრებულობა ახალისებს დარბაზს. „ახალმა გურულებმა“ ტრადიციული „კრიმანჭულით“ გაახალისეს მაყურებელი. გურულებს მეოთხეკლასელი იმერლები ცვლიან, იმერლებს — რაჭველები, ფშავ-ხევსურები და.. უცებ ისევ თავს იჩენს დიდი ტკივილი — ქართლი, აგვისტოს ომის ავადმოსაგონარი დღეები...

ტკივილიანი წუთები სვანურმა „ლილეომ“ შეცვალა, არადა, რა ტკბილად მღერიან და მოხდენილად ცეკვავენ სვანურ ჩოხაში გამოწყობილი გოგო-ბიჭები. აქვე ჩვენი დედაქალაქის განათებულმა ქუჩებმა გაიელვეს ეკრანზე და არც მეოთხეკლასელ ლუკა ადამაშვილს დაგვიანებია თბილისის საგალობელი. გიორგობის დღესასწაული კახური „მრავალჟამიერით“ დააგვირგვინეს მეთერთმეტეკლასელებმა.

ვარდების რევოლუციის მეექვსე წლისთავი და გიორგობის ლამაზი დღე მიულოცა ლონისძიების ყველა მონაწილეს სკოლის დირექტორმა **ნინო ყუფარაძემ.** აქვე მან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სიგელი გადასცა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი ოლიმპიადის გამარჯვებულ მეთერთმეტეკლასელს ზურაბ მაჭავარიანს.

მოსწავლეებსა და მშობლებს მადლიერების გრძნობით მიმართეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელმა **ნოდარ სანდუხაძემ,** გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო ცენტრის უფროსმა **რუსუდან ჩხეტიამ,** მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ **დავით სამადაშვილმა.**

ეს დაუვიწყარი საღამო მოამზადეს I-XI კლასების ხელმძღვანელებმა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **ნათელა დობორჯგინიძემ.** საინფორმაციო ტექნიკური უზრუნველყოფა ეკუთვნის სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიის მენეჯერს **მარინა უხურგუნაშვილს.** ლონისძიებას ამშვენებდა სკოლის ქორეოგრაფიული სტუდია „სალხინოს“ დახვეწილი ცეკვები (ქორეოგრაფები **ნონა და ოლეგ ბალდავაძეები**).

* * *

ამ ლონისძიების შესახებ ასე დაწვრილებით იმიტომ მოგითხრეთ, რომ მერვე საჯარო სკოლაში მსგავსი სრულყოფილი, სხვათათვის შესანატრი პატრიოტული საღამოები ხშირად იმართება. ეს კი ახალგაზრდობის ზნეობრივ და სულიერ ამაღლებას უწყობს ხელს... ღმერთმა გვიმრავლოს!

**ქეთი საყვარელიძე.**

**სურათებზე: საზეიმოშეხვედრის კადრები.**

◉ საქართველო არის ესე...

## მოგზაურობა წარსულში

**„სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის“ მხარდაჭერით სენაკის კულტურის ცენტრის სამიდან პირველი პროექტით — „წარსულის ცოდნა უკეთესი მომავლის საწინდარია“ ჩატარდა საინტერესო ექსკურსია, რომელშიც მონაწილეობდა სენაკის რაიონის საჯარო სკოლებიდან შერჩეული შეჭირვებული 50 მოსწავლე. მათ დაათვალიერეს საქართველოს ძირძველი კუთხე — სამცხე-ჯავახეთი.**

მოსწავლეებმა იხილეს ნამდვილი საოცრება, კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია. გზადაგზა ეცნობოდნენ ისტორიულ ობიექტებს. ასპინძიდან ვარძიამდე თითქოს მუზეუმი იხილეს ღია ცის ქვეშ.

მოსწავლეებს საექსკურსიოდ გამგზავრებამდე ჩაუტარდა ტრენინგი, ხოლო დაბრუნების შემდეგ რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა სემინარი, რომელსაც უძღვებოდნენ მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი ლ. გულუა და მუზეუმის ფონდის მცველი გ. ანთია.

წარსულში მოგზაურობამ, უეჭველია, მოზარდებს უფრო შეაყვარა წარსული. ეს ნათლად იგრძნობოდა ამ სემინარზე.

## საჩუქარი ბავშვებს

**სენაკის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემის ისულას უბანში გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი, რომელშიც 20 მოზარდი განათავსეს.** ბაღი ყოფილი დაწყებითი სკოლის ბაზაზე შეიქმნა. მისთვის საჭირო ინვენტარი შეიძინა არასამთავრობო ორგანიზაცია „კივიტა გერგიკამ“.

**იოსებ გოჩებია,**
ჩვენი კორ. ქ. სენაკი

**მიმდინარეობს 28-ე ბაგა-ბაღის აღორძინების და განვითარების ფონდის ლიკვიდაცია.**

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: მე-3 მასივი, მე-10 კვარტალი, 28-ე ბაგა-ბაღი, ტელ: 73-75-01.

**მხატვართა კავშირის წევრთა საყურადღებოდ!**

**საქართველოს მხატვართა კავშირის XV ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით მიმდინარეობს წევრთა ხელახალი რეგისტრაცია. მხატვართა კავშირის წევრებს გთხოვთ, გამოცხადდეთ მხატვართა კავშირში 2009 წლის 27 ნოემბრიდან, 11 საათიდან 16 საათამდე.**

**მისამართი:** კალისტრატე ქუთათელაძის ქ. №6 (ყოფილი ყაზბეგის ჩიხი) ტელეფონი: 39-09-67; 39-79-29.

**საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობა**

**1. სსიპ №55 საჯარო სკოლისთვის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ი. ჭავჭავაძის №38-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული საკლასო ოთახი 46.263 კვ.მ. ფართით გაიცემა ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, მუსიკალური სექციის ფუნქციონირებისათვის, ოთხშაბათსა და პარასკევს 16 სთ-დან 19 სთ-მდე სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. ქირით ოდენობა შეადგენს საათში 10 ლარს. ქირის ვადაა 2 წელი, განცხადებები მიიღება 2009 წლის 27 ნოემბრიდან 26 დეკემბრის ჩათვლით, 10 სთ-დან 14 საათამდე. წარსადგენი დოკუმენტაციისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ჭავჭავაძის 38. ტელ. 29-24-72.**



**საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი მწუხარებით იუწყება ქ. თბილისის მერიის ერთ-ერთი დეპარტამენტის ყოფილი უფროსის მოადგილის, შესანიშნავი პიროვნების, გულთბილი ადამიანის**

**ცეზარ მოსიძის**

**გარდაცვალებას, რომელმაც დაძაბული და კრიმინოგენურად ურთულეს 90-იან წლებში დაუღალავი შრომით დიდად შეუწყო ხელი, როგორც ქალაქის შეუფერხებელ მომარაგებას, ასევე საწარმოების მყარ ფუნქციონირებას.**

ქ. თბილისის პურის მრეწველთა კავშირი

**ძმები შოთა, ვაჟა, ჯემალ გორგოძეები ოჯახებით, და ნათელა გორგოძე ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან დის,**

**ალექსანდრა (შურა) გორგოძის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 XI, 16 სთ. (წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ეკლესია, წმინდა სამების საკათედრო ლავრის ტერიტორიაძ, გამოსვენება 29 XI, 14 სთ. (წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ეკლესია, წმინდა სამების საკათედრო ლავრის ტერიტორია).**

---

**შვილები მალხაზ და მაია ხვედელიანები, რძალი ანა ადეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან დედის**

**ალექსანდრა (შურა) გორგოძის**

**გარდაცვალებას.**

---

**მანანა გორგოძე-კვაჭაძე და დავით კვაჭაძე ოჯახით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მამიდის**

**ალექსანდრა (შურა) გორგოძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს შოთა, ვაჟა, ჯემალ, ნათელა გორგოძეებს ძვირფასი დის**

**შურა გორგოძის**

**გარდაცვალების გამო.**

---



**აკადემიკოსი ალექსანდრე კუჭუხიძე, მისი ქალიშვილი ლალი ბარათაშვილი-კუჭუხიძე და შვილიშვილი ნინო ბარათაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს დამსახურებული პედაგოგის, სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმის წევრის, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ყოფილი დოცენტის, პერსონალური პენსიონერის**

**ვალერიან ჯავახიას**

**გარდაცვალების გამო და დიდი მოწიწებით იზიარებენ მისი მეუღლის, შვილების, შვილიშვილების, ნათესავებისა და მეგობრების მწუხარებას.**

---

**უახლოესი მეგობრები თეიმურაზ ბაბუნაშვილი, თამაზ იმედაძე, დემურ ღაღანიძე, სოსო ძნელაძე და თამაზ დანელია ოჯახებით თანაუგრძნობენ მარინე და რომან კუჭუხიძეებს მამისა და სიმამრის**

**ვალერიან ჯავახიას**

**გარდაცვალების გამო.**

---



**მარინა კანდელაკი ღრმა მწუხარებით იუწყება**

**ლიანა ჩხიკვაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს.**

## ყველაფერი ყველაფერზე

### „თუ ინგლისი უკვე დამარცხებულია...“

**როცა მოლოტოვი 1940 წელს ბერლინში მოსალაპარაკებლად ჩავიდა, ეს ამბავი ჩერჩილს არ გამოპარვია და გერმანიის დედაქალაქის დასაბომბად მთელი ესკადრილია გამოაგზავნა. გერმანელები, ცხადია, გაფრთხილდნენ და მოლა-**



**პარაკება სახელმწიფო კანცელარიიდან ბუნკერში გადაიტანეს.**

სანამ საუბარი დაიწყებოდა, გერმანელებმა ომახიანად განაცხადეს, ინგლისი უკვე დამარცხებულია და ომი სულ მალე დამთავრდებაო, რაზედაც მოლოტოვმა ასე უპასუხა: „თუ ინგლისი უკვე დამარცხებულია, ჩვენ ბუნკერში რაღა გვინდა“.

### დუელზე ხელი აალებინა

**ვახტანგ VI-ის ამალის წევრის შთამომავალს, პოეტ პ.შალიკოვს (1768-1852) ჟურნალ „დამსკი ჟურნალის“ გამომცემელს, ერთ წვეულებაზე ვიღაც ავყია აუხირდა და დუელში გამოიწვია.**

— როდის გნებავთ?

— ხვალ.

— რატომ ხვალ? იმდენ ხანს რომ ვიცადო, ხომ შიშით მოვკვდი. ახლავე არა სჯობს? — ისეთი ტონით უთხრა ყოფილმა შალიკაშვილმა, რომ ავყიას შეეშინდა და ბოდიშის მოხდა ამჯობინა.

### „მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე გრძელი დღე“

**ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ კრიტიკოსები „მოდერნიზმის ენციკლოპედიას“ უწოდებენ. ამავე დროს მოქმედება მწერლისთვის მშობლიურ ქალაქ დუბლინში მიმდინარეობს — და იგი (თუმცა რომანი 800-900 გვერდს შეიცავს) სულ ერთ დღეს მოიცავს. ეს გახლავთ 1904 წლის 16 ივლისი, როცა ჯოისმა გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე ნორა ბარნაკლი. კრიტიკოსებმა ამ ნაწარმოებს „მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე გრძელი დღე“ უწოდეს.**

საინტერესოა, რომ ჯოისის მშობლიური ქვეყანა, ირლანდია, ევროპელებს შორის უკანასკნელი იყო, სადაც მოიხსნა „ულისეს“ აკრძალვა. ამ აკრძალვას რომანში სექსუალური სცენების სიმრავლით ხსნიდნენ.

### როცა ტალანტი მემკვიდრეობით გადადის

**ეს ყოველთვის არ ხდება, მაგრამ...**

**ესქილეს ორი შვილი და ძმისწულები ასევე პოეტები იყვნენ. სოფოკლეს შვილებსა და ძმისწულებს პოეტური ტალანტი ჰქონდათ. არისტოფანეს ორივე შვილი კომედიებს წერდა. ცნობილი მწერალი ლუკანი სენეკას ძმისწული იყო, არისტოს ძმა და ძმისწული — ასევე პოეტები, სვიფტი — ცნობილი პოეტის ჯონ დრაიდენის ძმისწული იყო. შეიძლება კორნელის, რასინის, კოლრიჯის შვილებისა და უახლოესი მემკვიდრეობის დასახელებაც.**

ახლა მუსიკოსებსაც გადავხედოთ. ბახების გვარეულობამ მუსიკოსების 8 თაობა მოგვცა, რომელთაგან 57 ცნობილი პიროვნება იყო. შესანიშნავი მუსიკალური ნიჭი ჰქონდათ პალესტრინისა და მოცარტის შვილებს.

მხატვრებს შორის პირველ რიგში შეიძლება ტიციანის ოჯახის დასახელება. მემკვიდრეობით ტალანტებს ვხვდებით ვან ეიკთან, მურილიოსთან, ვერონეზესთან, ტინტორეტოსთან.

### „ო, დროებანი, ო, ზნეობანი“

**ასეთი აღშფოთებული სიტყვებით მიმართა კონსულმა ციცერონმა კატილინას, რომელსაც, თუმცა უკვე აშკარა იყო მისი შეთქმულება რომის სახელმწიფოს წინააღმდეგ, ჰყოფნიდა თავხედობა და სენატის სხდომებზე დასასწრებად მოდიოდა, ვითომდა, აქ არაფერიაო.**



მართლაც რომ „ო, დროებანი, ო, ზნეობანი!“ ციცერონს თავი მოჰკვეთეს და მის მოსისხლე მტერს მარკუს ანტონიუსს „ძღვნად“ მიუტანეს. ამ თავს ანტონიუსის მაშინდელი მეუღლე ფულვია კარადაში ინახავდა, სადილობის დროს კი გამოიღებდა და მაგიდაზე დებდა, თანაც ენაში ნემსით ჩხვლეტდა და ამბობდა: „შენ არ იყავი, ჩემს ქმარს ასე დაუნდობლად რომ ლანძღავდიო“.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

**27 ნოემბერი**

**25-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი.**



ამოდის 07.04
ჩადის 16.32



ამოდის 02.20
ჩადის 14.07

**ხსენება მოციქულ ფილიპესი (Iძ; წმიდა გრიგოლ პალამასი თესალონიკელ მთავარეპისკოპოსისა (დაახლ. 1360ძ; მართლმორწმუნისა მეფისა იუსტინიანესი (565ძ და დედოფლისა თეოდორასი (548ძ. აღება შობის მარხვისა.**

### დაიბადნენ:

**1701 — ანდრეს ცელსიუსი,** შვედი ასტრონომი და ფიზიკოსი, გარდაიცვალა 1744 წელს.

**1728 — ჯეიმს კუკი,** ინგლისელი მეზღვაური, გარდაიცვალა 1725 წელს.

**1809 — პლატონ იოსელიანი,** ისტორიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1875 წელს.

**1840 — იოსებ რატილი,** პირველი ქართული ფოლკლორული ანსამბლის ლოტბარი. გარდაიცვალა 1912 წელს.

**1905 — ვასო გოძიაშვილი,** მსახიობი, გარდაიცვალა 1976 წელს.

**1915 — არჩილ გელოვანი,** საბჭოთა კავშირის საინჟინრო ჯარების მარშალი. გარდაიცვალა 1978 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**ჩვ.წ. აღ-მდე 8 წელი — კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი,** რომაელი პოეტი.

**1852 წელი — ავგუსტა და ლავლეისი,** ინგლისელი მათემატიკოსი, ჯორჯ ბაირონის ქალიშვილი.

**1859 წელი — ალექსანდრე დიუმა-შვილი,** ფრანგი მწერალი.

**1916 წელი — ემილ ვერჰარნი,** ბელგიელი პოეტი.

**1947 წელი — ჟაკ ფილიპ ლეკლერკი,** ფრანგი გენერალი, პარიზის განმათავისუფლებელი.

### მოვლენები:

**1095 წელი** — რომის პაპმა ურბან II-მ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა დალოცა.

**1885 წელი** — გადაიღეს ვარდნილი მეტეორიტის პირველი ფოტოსურათი.

**1895 წელი** — ალფრედ ნობელმა დააწესა საერთაშორისო პრემიები.

**მედიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

— მაპატიე, ეს გზა ზღვისკენ მიდის?

— დიახ.

— ესა?

— ესეც.

— უკაცრავად, მაგრამ ეს გზაც ზღვისკენ მიდის?

— ჰო, ჰო, ამ დაწყევლილი კუნძულიდან ყველა გზა ზღვისკენ მიდის!

* * *

— დამეხმარეთ, ფული მომპარეს, — ყვირილით შევარდა პოლიციის განყოფილებაში ქალი.

— სად გედოთ ფული?

— ლიფში.

— მერე ვერაფერი იგრძენით?

— ვიგრძენი, ცხადია, მაგრამ მეგონა, რომ იმ არამზადას კეთილი განზრახვა ჰქონდა.



* * *

მოწმე სასამართლოში ყოველ კითხვაზე ძალიან ვრცელ განმარტებებს იძლეოდა.

— გეყოთ ამდენი ლაქლაქი, — ნერვებმა უმტყუნეს ბრალმდებელს, — ყოველ კითხვაზე ლაკონურად თქვით ან „კი“, ან „არა“.

— მაპატიეთ, მაგრამ ყოველ კითხვაზე ასე მოჭრით ხომ ვერ გიპასუხებთ „კი“ ან „არაო“?

— სწორედაც შეიძლება ყოველ კითხვაზე ასეთი ლაკონური პასუხის გაცემა!

— მაშინ მიპასუხეთ: თქვენთან უკვე შეწყვიტეს დაკითხვებზე პატიმართა ფეხებით ცემა?

* * *

და მაინც როგორ უსამართლოდ მოიქცა ბუნება საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ესთეტიკური თანასწორობის დადგენისას. როგორ სასიამოვნოდ და ეროტიკულად გამოიყურება, მაგალითად, სველკაბიანი შიშველი ქალი და რა უშნო შესახედავია სველნიფხვიანი მამაკაცი.

## კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.